ეროვნული ბიბლიოთეკა


# თავისუფალი საქართველო

დაარსდა 1921 წელს

14 სექტემბერი: შაბათი 1991

№ 103-104-105

(11736-37-38)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 30 კაპ.





რომან ქარქუსაშვილის ნახატი.

მომიტინგეები, მოშიმშილენი, ავტობუსებით გადაკეტილი ქუჩები, უზენაესი საბჭოსა და ტელევიზიის შენობათა ჩახერგილი მისასვლელები, ბარიკადები, მოქალაქეთა შეშფოთებული სახეები... ასეთია დღეს თბილისი, სადაც საქართველოს ყოფნა—არყოფნის ბედი წყდება.

ეყოფა ქართველ კაცს სამშობლოს სიყვარული და სიბრძნე, რომ თავი დააღწიოს კრიზისს?

გამოვიყენებთ შექმნილ ხელსაყრელ ისტორიულ მომენტს და, ალბათ, უკანასკნელ შანსს ჩვენ, ქართველები, თუ სამუდამოდ დავრჩებით (თუ საერთოდ დავრჩებით) "განვითარებად" რეზერვაციად?

აი, კითხვები, რომელთა პასუხზედაც დღეს ყველა იმტვრევს თავს.

დღევანდელი ჩვენი ნომერი, იძულებითი შესვენების შემდეგ გამოსული, მეტნაკლებად ჩვენი საზოგადოების გახლეჩილი და გაორებული ცნობიერების ასახვაა და იმის ცდა, რომ მოლიანობაში წარმოაჩინოს არსებული რთული ვითარება.

# ფურცელი №11



მე შეურაცხყოფილი ვარ, როდესაც ჩემი ქვეყნის პრეზიდენტს ლანძლავენ...
მე შეძრწუნებული ვარ, როდესაც ოპოზიციას ჩაქოლვით ემუქრებიან...
ქართველ კაცს არც ერთი ეკადრება და არც მეორე.
ერთიცა და მეორეც კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა.
და სწორედ ამიტომ, ცივილიზებული სამყარო არ მიგვიღებს თავის ოჯახში...

# ძნელი დრო

აღდგენილი „ახალგაზრდა ივერიელის“ პირველი ნომერი შაბათს დაემთხვა. ამ დღეს რედაქცია შაბათის სტუმარს მასპინძლობდა ხოლმე. ჩვენ კვლავინდებურად ვაგრძელებთ ჩვენს ტრადიციას და რედაქციაში ვიწვევთ პუბლიცისტს, კრიტიკოსს, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ —თანამშრომელს, რუსთაველის საზოგადოების ვიცე—პრეზიდენტს ბატონ კობა იმედაშვილს.

შაბათის სტუმარი

—ბატონო კობა, კარგად მოგეხსენებათ, რა მნიშვნელობა ექნებოდა „ახალგაზრდა ივერიელებისთვის“ გაუქმების დღეებში ყოველ სიტყვიერ თანაგრძნობას, თითოეულ სატელეფონო ზარს, გაოგნებასა და უსაზღვრო წუხილთან ერთად „კეთილ დასასრულს რომ გვიწინასწარმეტყველებდა“ არანაკლებ გაოგნებულ კოლექტივს. სწორედ იმ დღეებში გაისმა „პიკის საათიდან“ თქვენი თანადგომის სიტყვები. ახლა, როცა „ახალგაზრდა ივერიელი“ კვლავ აღსდგა (დიახ, კვლავ, რადგან იგი მეორედ დადგა გაქრობის საშიშროების წინ), არ შემიძლია ჩვენი საუბარი ამ ფაქტით არ დავიწყო.

—უპირველეს ყოვლისა, მინდა მოგილოცოთ, რომ გაზეთმა ისევ განაახლა გამოსვლა, მაგრამ უფრო მინდა მოგილოცოთ მეორე რამ—რომ ხელისუფლება მიხვდა თავის შეცდომას და შეასწორა 3 სექტემბრის დადგენილება. საქმე ის გახლავთ, რომ ამ გაზეთების გაუქმებაში მე კიდევ სხვა რამ დავინახე —აბსოლუტური იგნორაცია არა მარტო ჟურნალისტებისა და პროფესიონალებისა, არამედ ჩვეულებრივი ადამიანებისა, მკითხველისა. ახლა ასე ვმსჯელობთ: რაკი ხელისუფლება ხალხის მიერაა არჩეული, მან უნდა გადაწყვიტოს და გააკეთოს ყველაფერი. ასეთი რამ მარტო ხელისუფალთა ფსიქოლოგიაში არ ძევს. ეს არის ჩვენი 70—წლიანი საბჭოური მონობის სინდრომი. იქ, ზემოთ, ვიღაც არის, ჩვენ მას გადავაბარეთ ყველაფერი და ახლა მან უნდა ითავცემოს ყველა ჩვენი გაჭირვება. ყველა ჩვენი აღტაცებაც მისკენაა მიმართული, ამდენად, მისი გაკრიტიკება არ შეიძლება. აი, სწორედ ამიტომ, ამ ხელისუფლებას შეუძლია დაგვიხუროს გაზეთი, დაგვირბიოს მიტინგი და სხვა—ეს მისი უფლებაა. მოდით, გადავხედოთ ფაქტებს: 9 აპრილმა ხალხის როგორი ერთსულოვანი აღშფოთება გამოიწვია, 2 სექტემბერმა კი არა, რატომ? იმიტომ, რომ მაშინ კომუნისტური მმართველობა, ძალადობით მოსული მთავრობა გვყავდა და მის წინააღმდეგ ყველა დავირაზმეთ. ახლა კი ხალხის არჩეული ხელისუფლება გვყავს, რომელმაც შეიძლება ტყვია გვესროლოს, გაზეთი გაგვიუქმოს, რაც უნდა ის გაგვიკეთოს, მაგრამ მაინც მივუტევოთ, იმიტომ რომ ჩვენი არჩეულია. ეს არის მარტო მცდარი კი არა, ყველაზე ნტიდემოკრატიული შეხედულება ჩვენს რეალობაზე. დემოკრატია ნიშნავს დემოსის, ანუ ხალხის ყველა ფენის, ყველა ინდივიდის სურვილის, უფლების მაქსიმალურად გათვალისწინებას—არავინ არ უნდა დაიჩაგროს. ამდენად, თქვენ რომ გაზეთი გაგიუქმეს, მე, რა თქმა უნდა, ინფორმაციის შეზღუდვაც დავინახე, იმის პერსპექტივაც,რომ, რაკილა ჯერ მთავრობის გაზეთებს აუქმებენ (თუმცაღა, თქვენ უშუალოდ მისი ორგანო არ იყავით), ახლა სხვების ჯერიც დადგება, და რაც მთავარია, ყველაზე დიდი საშიშროებაც —მე უკვე მართმევენ რაღაც —რაღაცეების გადაწყვეტის უფლებას. ეს გაზეთი ჩემია და თუ მე იგი არ მინდა, მას არ გამოვიწერ. ეს მე უნდა გადავწყვიტო, და არა ვიღაცამ ზემოთ.

—თქვენ ახლახან 2 სექტემბერი ახსენეთ. 3 სექტემბერს გაზეთები დაიხურა, ასე რომ, მკითხველმა, და საერთოდ, საზოგადოებამ ამ ფაქტის შესახებ პრესიდან ოპერატიულად ვერაფერი შეიტყო, რომ აღარაფერი ვთქვათ, მის გამორკვევა —გაანალიზებასა და კომენტარზე. ვფიქრობ, ღირს დავუბრუნდეთ ორი კვირის წინ დედაქალაქში მომხდარ ამ ინციდენტს.

—2 სექტემბერს რაც მოხდა, ამის მიჩუმათებას ვერავინ შეძლებს. თუ არ შეიქმნება საპარლამენტო კომისია საზოგადოების ფართო მონაწილეობით, მაშინ მე თქვენ პირობას გაძლევთ,რომ შეიქმნება საზოგადოებრივი კომისია, რომელიც გამოიკვლევს ამ ამბავს. რატომ ვამბობ ამას ასე კატეგორიულად: თუ გახსოვთ, 9 აპრილის მეორე დღესვე გამოქვეყნდა კომუნიკე, სადაც კომუნისტური მთავრობა გვარწმუნებდა, მომიტინგეებმა ერთმანეთი გადაჯეგესო. ეს, რასაკვირველია, არავინ დაიჯერა. იმ ღამის თვითმხილველი და მონაწილე ბევრი იყო. მაშინ ჯანმრთელობის სამინისტროსთან შეიქმნა საზოგადოებრივი კომისია. მე მივედი მინისტრთან ირაკლი მენაღარიშვილთან და ვუთხარი, რომ არ მჯეროდა ამ კომუნიკესი. მე იქ მარტო არ მივსულვარ, სხვებიც მოვიდნენ—ჩვენი თანამოქალაქეები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები: მუშა, ინჟინერი და სხვა. ირაკლი მენაღარიშვილმა ჩვენ ყველანი ამ კომისიაში შეგვიყვანა სიტყვებით—მომეხმარეთ, რათა სიმართლე დავადგინოთ და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვასო. იცით, მაშინ ეს მართლაც გაბედული საქციელი იყო, იმიტომ, რომ ეს საზოგადოებრივი კომისია დაუპირისპირდა ჯარსა და კომუნისტებს და გამოააშკარავა მათი ბოროტება.

2 სექტემბრის შესახებ რუსთაველის საზოგადოებამ მოითხოვა, შეიქმნას საქართველოს უზენაესი საბჭოს 2 სექტემბრის ტრაგიკული და სამარცხვინო ფაქტის შემსწავლელი და გამომკვლევი კომისია. ჩვენ პირდაპირ იმიტომ არ შევქმენით საზოგადოებრივი კომისია, რომ საქართველოს ჰყავს ხალხის მიერ არჩეული უზენაესი საბჭო, ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი, და ჩვენ არ გვინდა შეიქმნას პრეცედენტი იმისა, რომ ისინი არ უვლიან ხალხის ტკივილებს. მე მაინც მინდა მჯეროდეს, რომ მოხდა ტრაგიკული შეცდომა სახელმწიფოს მართვისას, და თუ ეს ყველაფერი მიუკერძოებლად იქნება გამოკვლეული, ქართველი ხალხი მაინც შემნდობი ხალხია და შეცდომებს კაცს, ასე თუ ისე, ალბათ, აპატიებს, თუმცაღა, როცა გამეტებით ურტყამ ადამიანს და ცეცხლსასროლი იარაღით სასიკვდილოდ ჭრი (მოგეხსენებათ, ერთ—ერთი ჭრილობა გულთან არის),ამის შენდობაზე ლაპარაკი ზედმეტია, ეს უკვე კრიმინალური დანაშაულია და ასეც უნდა იყოს შეფასებული. მეტსაც მოგახსენებთ, პოლიტიკური თვალსაზრისითაც ეს უდიდესი შეცდომა გახლდათ, იმიტომ, რომ მაშინ აქ ამერიკელი კონგრესმენები იყვნენ ჩამოსული და მათთვის იმის ხილვა, რომ ოპოზიცია ატარებს მიტინგს, არაფერი ახალი და ტრაგიკული არ იქნებოდა, მიტინგის დარბევა კი— ადამიანის უფლებათა დარღვევის მიუტევებელი მაგალითია.

1 და 2 სექტემბერს ანალოგიური ინციდენტი „ომონის“ მიერ გამოწვეული იქნა საგარეჯოშიც, თქვენ შეგიძლიათ წაიკითხოთ გაზეთი „ივრის განთიადი“, სადაც ყველაფერი დეტალურადაა აღწერილი: როგორ ჩხრეკდნენ „ომონელები“ ქალებს ქმრების თვალწინ (ეს დანაშაული შეიძლება ცემაზე უფრო მძიმე იყოს), რა გამოიწვია ამან და საბოლოოდ ვისზე გადატყდა ჯოხი? ყველაფერში „დამნაშავე“ აღმოჩნდა საგარეჯოს რაიონის მილიციის უფროსი, იგი თანამდებობიდან გაათავისუფლეს... 2 სექტემბერთან დაკავშირებით ვინ იქნება განტევების ვაცი?

2 სექტემბერი არის არა მარტო პოლიტიკური შეცდომა და კრიმინალური დანაშაული, იგი არის ზნეობრივი დანაშაულიცimიტომ, რომ ქართველები ქართველებმა დაარბევინეს და წაჰკიდეს. 9 აპრილს, ბოლოს და ბოლოს დამპყრობელმა დაარბია ქართველები, 2 სექტემბერმა კი აბსოლუტურად გახლიჩა ქართველი საზოგადოება და მიგვიყვანა სამოქალაქო ომის ზღვრამდე. თუ ახლა ერთბაშად არ შეჩერდება ეს ამბავი, მაშინ მონაგონი იქნება ის, რაც დღეს რუსთაველზე ხდება და ამას ემსხვერპლება არა მარტო ხელისუფლება, არამედ ქართველი ხალხიც.

— მოახლოებულ საფრთხესა და აშკარა საშიშროებაზე დღეს ბევრს ლაპარაკობენ, თუმცა ამის დაკონკრეტება და ანალიზი არც ტელეკრანიდან მომისმენია და არც თბილისის ყველა კუთხე- კუნჭულში გამართულ მიტინგებზე...

— დღეს ორივე მხრიდან გაისმის მოწოდებანი: ერთი მხრიდან პრეზიდენტის შეურაცხმყოფელი, რაც დაუშვებელია ნებისმიერი ცივილიზებული სამყაროსათვის. გულწრფელად რომ გითხრათ, ალბათ, მეც, თქვენც, ყველა ჩვენგანი, როგორც მოქალაქეები, შეურაცხყოფილნი ვართ, რადგან პრეზიდენტი განასახიერებს ქვეყნის უზენაესობას, მის ღირსებას. მაგრამ, ამავე დროს, როცა მეორე მხრიდან პრეზიდენტი და მისი ამალა მოუწოდებს ოპოზიციის ფიზიკური განადგურებისაკენ, ესეც დაუშვებელია. ბოლოს და ბოლოს დემოკრატია ოპოზიციის არსებობისა და აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლებასაც ნიშნავს. ეს ყველაფერი შეიცავს უდიდეს საშიშროებას, იმიტომ, რომ, ფაქტობრივად, სიტყვიერი ომი უკვე მიმდინარეობს და სავსებით დასაშვებია, რომ იგი გადაიზარდოს სამოქალაქო ომში. ჩვენ ვდგევართ უდიდესი საფრთხის წინ, რადგან ეს სამოქალაქო ომი არ განისაზღვრება მხოლოდ ქართველების ურთიერთდაჯახებით. ჯერ ერთი, აქ უამრავი ნეიტრალური ადამიანია, რომლებსაც ჩვეულებრივი ცხოვრება სურთ და მათაც უნდა გაეწიოთ ანგარიში. მეორეც, ნახეთ რა მოხდება: შავნაბადაზე დაბანაკებული გვარდიის ნაწილები აცხადებენ, რომ, თუ ხალხის მიმართ ძალა იქნება გამოყენებული, იგი ჩაერევა ამ კონფლიქტში და დაიცავს ხალხს. გვარდიის მეორე ნაწილი არის პრეზიდენტის მხარეზე, ე. ი. ორი დაპირისპირებული შეიარაღებული ნაწილი აგერ უკვე ცხვირწინ გვაქვს. როგორც ხშირად ხდება, რაკილა აქ გაჩაღდება სამოქალაქო ომი, რუსეთი მსოფლიოს თვალში ვალდებულიც კი იქნება თავისი არმიით ჩაერიოს ამ კონფლიქტში, რათა დაიცვას არაქართველი მოსახლეობა, პირველ რიგში რუსი მოსახლეობა და შემდეგ გააზაოს ურთიერთმოქიშპე ძალები. რასაც და როგორც იზამს ამას რუსის ჯარი, კარგად მოგეხსენებათ. რუსის ჯარს, რა თქმა უნდა, დაეტაკება ქართველობა, აქ უკვე ბევრად დიდი ინტენსივობით თავს წამოყოფს მტრულად განწყობილი არაქართველი მოსახლეობა და შეეცდება დაითრიოს ქართული მიწები, გაწყვიტოს ქართველები და ა. შ. ბოლოს რა იქნება, არავინ იცის. ეს არ არის რთული წინასწარმეტყველება, ეს არის რეალური ფაქტი. ამიტომ, ჭკუას უნდა მოუხმოს ყველამ და ეს ყველაფერი უნდა შეჩერდეს. უპირველესი და უდიდესი ძალა, ვისაც შეუძლია ეს შეაჩეროს, არის ხელისუფლება, შეაჩეროს არა ძალით, არამედ თავისი შემრიგებლური პოზიციით,კომპრომისით, ოპოზიციის მოთხოვნების გათვალისწინებით. ხალხის კეთილდღეობასა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაზე პასუხი ხომ უპირველესად ხელისუფლებას მოეთხოვება.

— რამდენად რეალურად გეჩვენებათ, რომ ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება წავა ამ დათმობაზე და წარმართავს დიალოგს ოპოზიციის წარმომადგენლებთან?

— დიალოგი, სხვათა შორის,მთლიანად სხვის ჭკუაზე გადასვლას არ ნიშნავს. თანაც სიტყვებით დავა ყოველთვის სჯობს ქვითა და ტყვიით დავას. ცივილიზებულ ქვეყნებში ასეა და იქაც, სრულიადაც არა მგონია, რომ ოპოზიციასა და ხელისუფლებას მეტისმეტად უყვარდეს ერთმანეთი. თუ დიალოგი არ შედგება, ჩვენ, ჯერ ერთი, როგორც გითხარით, კატასტროფისაკენ მივექანებით, და მეორეც, ჩვენ ცივილიზებული ქვეყნები არ გვცნობს, ელემენტარულად არ აღიარებს ჩვენს დამოუკიდებლობას, ხოლო თუ ურთიერთობა არ გვექნება გარე სამყაროსთან, მაშინ, გამოდის, რომ კვლავ ჩიხში მოვექცევით.

არ არსებობს არაფერი უმაღლეს სიცოცხლისა, გარდა სამშობლოსი. ახლა საქართველო დგას კრიტიკული ზღურბლის წინ, ამიტომ ყველამ ყველაფერი განზე უნდა გადადოს. კვლავ ვიმეორებ: კონსტრუქციული დიალოგის გამართვის ინიციატივა უნდა გამოიჩინოს ხელისუფლებამ. ამასთანავე, არც ერთმა მხარემ აღარ უნდა დააყოვნოს და ხვალვე აღებულ უნდა იქნას ბარიკადები, შეწყდეს შიმშილობა, შეწყდეს მიტინგებზე ლანძღვა-გინება და წყევლა-კრულვა, ალბათ, მორატორიუმი უნდა გამოეცხადოს მიტინგებსაც თუნდაც ორი კვირით, სანამ მოლაპარაკება იწარმოებს, აღებული უნდა იქნას მთავრობის სახლის წინ ის კარავიც, რომელიც პირადად ჩემთვის შეურაცხმყოფელია — ჩემი პარლამენტის წინ არ უნდა იდგეს კარავი, რომელიც გახუნდა და მერე მოიტანეს მეორე... ჩვენ მსოფლიოს ხელისგულზე ვცხოვრობთ, ყველა გვხედავს და გვისმენს და ვერავის ვერაფერს მოვატყუებთ. ბოლოს და ბოლოს მთელი მსოფლიო ფიქრობს, რომ ამ დიდი ოჯახის წევრად ცივილიზებული ქვეყანა უნდა მიიღოს, ისტორიიდან, ყოველი შემთხვევისათვის, ასე იციან, მაგრამ დღესდღეობით მაინცდამაინც ცივილიზებულად ვერ ვიქცევით, რისი დამამტკიცებელიც იგივე 2 სექტემბერია. მსოფლიო შევაჯერეთ 9 აპრილის ტრაგედიით, მსოფლიოში შეიქმნა მოწამე ქართველის ხატი, რომელიც დაარბიეს და ამის მერე 2 სექტემბერს იქმნება მეორე ქართველის ხატი, რომელიც ქართველს თვითონ არბევს. ეს კიდევ, იცით, რას ამტკიცებს? ამტკიცებს იმ საზარელ დეზინფორმაციას, რომ ქართველებმა დაარბიეს ოსები, ამართლებს როდიონოვსაც — ბოლოს და ბოლოს ის რუსი გენერალია, რომელიც ამბობს, ქართველი მომიტინგეები შეიარაღებულნი და აგრესიულნი იყვნენ და იმიტომ დავარბიეთო.

დღეს ცხოვრება ძალზე ჭირს, თუნდაც იმიტომ, რომ უბრალოდ გაქრა ხვალინდელი დღის იმედი. მაგალითად, თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ თქვენს გაზეთს ერთი კვირის, ან თუნდაც ერთი თვის მერე ვინმე არ გააუქმებს? მე არა ვარ დარწმუნებული, რომ ჩემს ინსტიტუტს ან რუსთაველის საზოგადოებას ხვალ ვინმე არ გააუქმებს... არავითარი გარანტიები არ არის. მართალია, არც საბჭოთა სინამდვილეში იყო ეს გარანტიები, მაგრამ მაშინ იცოდი, რომ მტრულ გარემოცვაში ცხოვრობ, კომუნისტების ხელში ხარ და ეს არის საპატიმრო.

მე რომ დღეს რაღაცას ვწერ, არ ვიცი, ის დაიბეჭდება თუ არა. მეტსაც გეტყვით: თუნდაც ამ ინტერვიუს შემდეგ არ ვიცი რას მიწოდებენ, ვინ როგორ შემომეხმიანება...

ესაუბრა ნინო ქლარჯეიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოზიცია

კითხვაზე, მიაჩნიათ თუ არა, რომ საქართველოში შექმნილი სიტუაცია არის პოლიტიკური კრიზისი, რამ განაპირობა ის და რა არის საჭირო მის დასაძლევად, უპასუხებენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები.

## ნუგზარ მოლოდინაშვილი

ცხადია, ყველა ნიშნით ეს არის პოლიტიკური კრიზისი. ჩემის აზრით, ის გამოიწვია იმ ძალთა პოლიტიკურმა გაკოტრებამ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ პარლამენტური გზა უპერსპექტივოა და ამით ჩვენ ვერასოდეს ვერ გავთავისუფლდებითო, და ვინც ამ გზას მისდევდა, მონათლული იყო როგორც ცენტრის აგენტი. სამმა ბალტიის ქვეყანამ დაამტკიცა, რომ პარლამენტური გზა ერთადერთი დღეს მისაღები გზა იყო ხელისუფლების მოსვლისაც და ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის მიღწევისაც. იმისათვის, რომ დაემალათ თავიანთი პოლიტიკური გაკოტრება, მათ უკვე სხვა ფრაზეოლოგია აიღეს, სხვა მოთხოვნებით გამოვიდნენ ქუჩაში.

მე მიმაჩნია, რომ ჩვენ ერისა და ოპოზიციის მიმართ მართლები ვართ. მათ კონსტრუქციული ოპოზიცია არ შეუქმნიათ. გინება, ლანძღვა — ეს არ არის ოპოზიცია. თუ საერთო საქმისათვის იღვწიან, ამავე საერთო საქმეში ისინი თავისი პოზიციებიდან მაინც უნდა ამოგვიდგნენ მხარში, საქმეს უნდა ამოუდგნენ მხარში. თუ მიზნისკენ მიმავალ გზაზე რაღაცაში ვცოდავთ, ამაში უნდა გვაკრიტიკონ, თორემ ხელაღებით ლანძღვა-გინება მიუღებელია. როცა ლაპარაკობენ დიალოგზე, თავიდანვე ვამბობდი და დღესაც ვგრძნობ, რომ ყოველგვარი დიალოგი თითქმის გამორიცხულია. ეს იმის გამო კი არა, რომ ჩვენ არ გვსურს დიალოგი და კონსტრუქციული საუბარი, არამედ ეს მათ არ სურთ, არავითარ დათმობაზე არ უნდათ წავიდნენ. მათ მხოლოდ ხელისუფლება სურთ, აქედან გამომდინარე, უფრო გადამჭრელი ზომებია გასატარებელი. ერთხელ და სამუდამოდ ერმა უნდა გადაწყვიტოს, თუ ვის უჭერს მხარს. თუ მათ დაუჭერს მხარს, მოვიდნენ ხელისუფლებაში და ჩვენ წავალთ. ცხადია, ეს უნდა მოხდეს ცივილიზებული ხერხებით. ასე რომ, თუმცა მე არ მჯერა, რომ ისინი დიალოგზე წამოვლენ, მაგრამ მე მაინც ეს მგონია გამოსავალი, რომ მათ უნდა აიღონ ბარიკადები და დავსხდეთ ერთად და ვიკამათოთ. დაამტკიცონ თავიანთი სიმართლე. გაგვამტყუნონ, ხალხმა დაუჭიროს მხარი, ჩვენ წავიდეთ და ისინი მოვიდნენ. თუ ეს არ გაკეთდა, რჩება კონფრონტაცია. იმას არავინ არ მოითმენს, რომ დედაქალაქში მთავრობა კონტროლს ვერ ახორციელებდეს. მსგავსი არაფერი ხდება ცივილიზებულ ქვეყნებში.

## ალექსანდრე ქობულაშვილი

მე ამჟამად შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას ვთვლი არა კრიზისულად, არამედ კრიტიკულად, გადამწყვეტად. პოლიტიკურ სიტუაციას არა ქვეყნის შიგნით, არამედ საერთოდ, საქართველოსათვის და აქედან გამომდინარე შევაფასებდი დღესდღეობით თბილისში შექმნილ ვითარებას.

მოგეხსენებათ, სსრკ-მ იურიდიულად შეწყვიტა არსებობა. დადგა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარების დროც. დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ შიშველი ძალა თუ დააბრკოლებს ამას, რადგანაც იურიდიული საფუძველი უკვე მომზადებულია და დეკლარიზებულია თვით სსრკ სახალხო დეპუტატთა V საგანგებო ყრილობის მიერ მიღებული დადგენილებით. ამდენად, ახლოსაა ის თარიღი, როდესაც განხორციელდება ქართველი ერის 200-წლიანი ოცნება და ბრძოლის მიზანი. როგორი უნდა იყოს ამის მომლოდინე ქვეყნის საშინაო მდგომარეობა? სხვათა აზრი არ ვიცი, მე კი დარწმუნებული ვარ, რომ რეალისტურად მოაზროვნე, საკუთარი სამშობლოსათვის კეთილმოსურნე ყოველ ადამიანს და განსაკუთრებით პოლიტიკოსს უნდა მაქსიმალურად შეეზღუდა თავისი თუნდაც აბსოლუტურად სამართლიანი და დასაბუთებული პრეტენზიები ხელისუფლების მიმართ, თავი შეეკავებინა ყოველგვარი, მით უმეტეს ხალხმრავალი დემონსტრირებებისაგან და პოლიტიკურ უთანხმოებათა გარკვევა დამოუკიდებლობის აღიარების შემდგომი პერიოდისათვის გადაეტანა. სწორედ ეს იქნებოდა ერთადერთი მამულიშვილური პოზიცია და... საქმე.

რა ხდება სინამდვილეში? 2 სექტემბერს ე. ი. ზუსტად იმ დღეს, როდესაც შეიძლება გადაწყვეტილიყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ბედი, იქნა მოწყობილი მიტინგი, რომელზეც პროვოკაციებისა და პროვოკაციებზე აყოლის შედეგად ხელისუფლებას ადანაშაულებენ და ამით ყოველმხრივ ცდილობენ სახელი გაუტეხონ მას მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში ზუსტად იმ დროს, როდესაც ესოდენ საჭიროა მისი იმიჯი (პრესტიჟი თუ არა!) სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარებისათვის. ვითომ ყოველივე ამის ორგანიზატორებს არ ესმით ეს?! ესმით და სწორედ ამიტომაც იქცევიან ასე.

გამოსავალი ერთადერთია. ყველამ უნდა გაითვალისწინოს არსებული მდგომარეობის მნიშვნელობა და საკუთარ მოქმედებათა მოსალოდნელი შედეგი. ყველამ მტკიცედ უნდა შეიგნოს, რომ უპირველესია სამშობლოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევა და მხოლოდ ამის შემდგომ დემოკრატიული ნორმების სრული დაცვისათვის ბრძოლა. ეს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სახელმწიფოებრივი მმართველობის ევოლუციური პროცესის შედეგია... და თუ ჩვენ დღეს იმაზე დავიწყებთ ფიქრს, ჯერ საქართველოში (თანაც დაპყრობილში, სანახევროდ ომის მდგომარეობაში მყოფის, ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში, შესაბამისი ტრადიციების არარსებობისას) დემოკრატია გავამეფოთ და მერე ვიზრუნოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის, დამერწმუნეთ, შორს გადაიდება ჩვენი სამშობლოს თავისუფლება.

მოვუწოდებ ყველას, შეწყვიტონ საპროტესტო გამოსვლები (დღეს ამისი დრო არ არის, დღეს სხვა რამაა საშური), გვერდით თუ არ დაუდგებიან და არ დაეხმარებიან, ხელს მაინც ნუ შეუშლიან სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ხელისუფლების ბრძოლას.

## ავთანდილ იმნაძე

დღევანდელ სიტუაციას თუ შევაფასებთ, ნაწილობრივ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ის არის კრიზისი. რაც შეეხება იმას, თუ რამ განაპირობა ის, ეს ძალზედ რთული კითხვაა. ჩვენთვის შესანიშნავი სიტუაცია შეიქმნა 19-21 აგვისტოს პუტჩის დამარცხების შემდეგ. ე. წ. სამხრეთ ოსეთის და ე. წ. აფხაზური მოძრაობის მესვეურებმა თავიანთი თავი გაამჟღავნეს, როცა მათ მთლიანად დაუჭირეს მხარი პუტჩს. ეს იყო მათი სრული კომპრომეტირება, მაგრამ, მოვიდა 2 სექტემბერი, როცა ოპოზიციურ ძალებს უნდოდათ ჩაეტარებინათ მიტინგი. მე ვთვლი, არაფერი არ მოხდებოდა, რომ ჩაეტარებინათ ის წესრიგის დამცველთა თანდასწრებით, მაგრამ, თუ ეს იყო პროვოკაცია, ჩვენ ძალიან ბრმად, როგორც ღლავი ისე წამოვეგეთ პროვოკაციაზე და ჩვენივე ხალხს დავუპირისპირდით. ეს გამოიხატა იმით, რომ დემონსტრანტებს შეესია ომონი. მე ვთვლი, რომ ვინც მოიყვანა ომონი იქ, ვისი ბრძანებითაც მოხდა ეს, ის არის დამნაშავე ამ კრიზისულ სიტუაციაში. სწორედ 2 სექტემბრის მოვლენები იყო ის კატალიზატორი, რამაც განაპირობა ყველაფერი. კრიზისის დასაძლევად საჭიროა სრული სიმართლე და დიალოგი ჩვენს ოპოზიციასთან, ურთიერთობის ფორმების მოძებნა. პროფესიით რეჟისორი ვარ და მაგონდება მოსკოვის მხატის თეატრის ისტორია, სადაც ერთად მუშაობდნენ სტანისლავსკი და ნემიროვიჩ-დანჩენკო, ერთი იყო დირექტორი და მეორე სამხატვრო ხელმძღვანელი. ისინი 25 წელიწადი ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ, არ უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მათთვის, გამოენახათ ურთიერთობის ფორმები. შესაძლოა ეს არცთუ კარგი მაგალითი იყოს, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ აუცილებელია, ურთიერთობის ფორმების მოძებნა, ესაა ხსნის ერთადერთი გზა.

**ბატონი ავთანდილ იმნაძე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეა და საუბრისას ბუნებრივად წარმოიშვა დამატებით კიდევ ერთი კითხვა: ადამიანს კანონით გარანტირებული აქვს ინფორმაციის მიღების უფლება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შეზღუდვა (ხან შეზღუდულია და ხანაც საერთოდ არ გამოდის ცენტრალური პრესა, თიშავენ ცენტრალური და რუსეთის ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემებს, გარკვეული დროით დახურეს რამდენიმე რესპუბლიკური გაზეთი, საქართველოს ტელევიზია ცალმხრივ ინფორმაციას გადასცემს) ხომ არ ნიშნავს ადამიანთა უფლებების შეზღუდვას?**

რა თქმა უნდა, ეს ადამიანთა უფლებების დარღვევაა. ჩვენ როცა ვიბრძოდით, როცა ეროვნული მოძრაობა იბრძოდა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ, ის სამართალდამცავი მოძრაობაც იყო ერთდროულად. მაშინ უპირველესი ჩვენი მოთხოვნა სწორედ ინფორმაციის სრული თავისუფლება იყო და როცა ჩვენ მოვედით ხელისუფლების სათავეში და შევზღუდეთ ინფორმაცია, ეს ყოვლად დაუშვებელია. რა მიზეზითაც არ უნდა იყოს ეს, ვთქვათ ქაღალდის დეფიციტის გამო, ამას გამართლება არა აქვს. ამ მხრივ უნდა იყოს სრული თავისუფლება. დღეს მხოლოდ და მხოლოდ სრული სიმართლე გადაგვარჩენს. წინააღმდეგ შემთხვევაში დავიღუპებით.

---

საქართველოს სტუდენტი — ახალგაზრდობის დროებითი კავშირის

# განცხადება

პუტჩისა და 2 სექტემბრის მოვლენათა შემდგომ საქართველოში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამო, ამა წლის 9 სექტემბერს ჩამოყალიბდა საქართველოს სტუდენტ-ახალგაზრდობის დროებითი კავშირი, რომელიც მიზნად ისახავს, წარმართოს სტუდენტური მოძრაობა საქართველოში დემოკრატიის დასამკვიდრებლად.

სტუდენტობა ვერ შეეგუება დიქტატურას!

დროებითი კავშირი მიმართავს ნებისმიერ მშვიდობიან აქციას ტოტალიტარიზმისა და სამარცხვინო ავტორიტარიზმის წინააღმდეგ!

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეს-კლუბი,**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური კავშირი, თბილისის ს. ს. ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტური პროფკავშირი,**

**საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტური დარბაზი,**

**აგრარული უნივერსიტეტის აგრარული კავშირი,**

**საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიან-დემოკრატიული ასოციაცია,**

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტური თვითმმართველობა,**

**თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტური კავშირი,**

**ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტური კავშირი.**

# მიმართვა ქართველ ხალხს

**თანამემამულენო!**

მოგმართავთ ახალგაზრდობის სახელით, იმ თაობის სახელით, რომლის მხრებზეც გადაიარა ყველა იმ მოვლენამ, რაც ასე თავბრუდამხვევი სისწრაფით მოხდა ბოლო 3-4 წლის მანძილზე საქართველოში, დაწყებული ტრანსკავკასიური რკინიგზისა და გარეჯის პოლიგონის პრობლემებიდან, დამთავრებული 9 აპრილის სისხლიანი ღამითა და მის შემდგომი ცვალებადობებით.

ჩვენ უკვე ცალკე თაობა ვართ, ნაადრევად დაბერებული თაობა იმ ახალგაზრდებისა, რომელთა რწმენით ანთებულ სულებზე მოულოდნელად უამრავმა სიმახინჯემ გადაიარა, რომელთა თვალწინ ამ უმოკლეს ხანში მრავალი სასიცოცხლო ღირებულება გაუფასურდა. და, რაც ყველაზე მძიმეა, გაუფასურდა **სამშობლოს** ცნება!.. ღვთის წყალობით, მალევე გაცნობიერდა ჩვენში ეს საბედისწერო სულიერი მდგომარეობა და ცხადზე ცხადია, რომ სანამ ვტყუით და პათეტიური წუხილის მეტი არანაირი განცდა არ გვაკავშირებს საქართველოსთან, მანამდე ის ჩვენთვის დაკარგულია!.. ჩვენ სამშობლო აღარა გვაქვს... ჩვენს ქვეყანაში ჩვენთვის ასე უცხო სიძულვილმა და სისასტიკემ დაისადგურა. **თავისუფლება** რაღაც უშინაარსო, კნინ, ოდენ პოლიტიკურ ტერმინად გადაიქცა და ცნების გაგება დაკარგა.

ჩვენ მძიმედ ჩავურაზეთ კარი დემოკრატიას — თავისუფლების აუცილებელ პირობას. ჩვენ ვერ ვიტანთ თავისუფლებას, თავისუფალ სივრცესაც კი ვერ ვეგუებით... ჩვენ ჩამოვყარეთ ლენინის ძეგლები, მაგრამ „თავისუფლების მოედანი“ დაცინვად იღერებს მანამ, სანამ მართლა სულიერად თავისუფალნი არ ვიქნებით. შემთხვევით კი არ ავტეხეთ ვაი-უშველებელი, რომ ჩამოგდებული ლენინის ძეგლის ადგილას სასწრაფოდ რაიმე მონუმენტური ჯაბახანა წამოგვემართა, თორემ დაგვაბრმავა თავისუფალი სივრცის ჭვრეტამ... თუ ჩვენს სულებში არ მოიწგრა კერპთათვის გამზადებული კვარცხლბეკი, მანამ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, თავად კერპს დროდადრო გამოვცვლით თუ იგივეს დავტოვებთ.

ტყუილად ნუ გვეგონება, რომ ჩვენ ვილაცას, მავანს და მავანს, უნდა „ვაცალოთ“, როდის მოიპოვებს ჩვენდა უჩუმრად სხვადასხვა პოლიტიკური ხერხით თავისუფლებას და ერთ მშვენიერ დღეს ლანჩით მოგვართმევს... რომ მხოლოდ უნდა „ვაცალოთ“ და აბსტრაქტულად „მხარში ამოვუდგეთ“, ამასთან, თვალებიც უნდა დავიბრმავოთ და ყურებიც დავიყრუოთ, რომ არც არაფერი დავინახოთ და არც რაიმე გავიგონოთ... ამასობაში ის მავანი, ან მავანნი, მოგვიტანენ „ნანატრ“ თავისუფლებას და თავს დაგვაბერტყავენ. მერე ჩვენც ერთბაშად გამოვკეთილშობილდებით და შევუდგებით საამურ ცხოვრებას.

ადამიანს თვალები ხედვად აქვს და მისთვის გონებაც ღმერთს იმისთვის მიუცია, რომ საღად განსჯის უნარი ჰქონდეს. როცა გარშემო განურჩევლად ყველას, მტერსა და მოღალატეს ეძახიან, იქნებ სჯობს, უფრო ფხიზლად ვიყოთ.

ძნელია ეროვნულად სახელდებული მთავრობის ოპოზიციაში ყოფნა, ბევრად უფრო ძნელი, ვიდრე ამ რამდენიმე წლის მანძილზე კომუნისტური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ დროა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას! არავის არა აქვს სიძულვილის, მტრობის თესვის უფლება. სამწუხაროდ, ეს ამბავი გუშინ და გუშინწინ არ დაწყებულა, ეს სამარცხვინო ზოლი ყოველთვის გასდევდა ქართულ ეროვნულ მოძრაობას — პიროვნული ანგარიშსწორების სახით. თუ ჩვენ თავის დროს ამაზე ხმა არ ამოვიღეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ კომუნისტების თვალწინ არ დავპირისპირებოდით ეროვნული მოძრაობის გარკვეულ ნაწილს, მაგრამ როცა ეს ნაწილი ეროვნული მოძრაობისა ხელისუფლებაში მოვიდა და ანგარიშსწორება დააკანონა, ეს უკვე მოსათმენად მეტისმეტად მძიმეა.

მძიმეა, ხელისუფლებამ პარლამენტს გარეთ მყოფი ეროვნული ძალები მუდმივად მტრებად და კრემლის აგენტებად აცხადოს და თავად გუშინდელ კრემლის უშიშროების კომიტეტს (რომელსაც დღესაც კრემლივე უფინანსებს) აჭერინოს ეროვნული მთავრობის სახელით.

ყველაფერმა დაკარგა ლოგიკა...

რით განვასხვავოთ ეს ხელისუფლება წინანდელისაგან, რომელმაც წინამორბედისა არაფერი არ ითაკილა — არც ცილისწამება, არც სიცრუე, არც ყალბი დაპირებანი, არც კომუნისტური რეჟიმის გადმონაშთი — კოლექტიური წერილების სამარცხვინო პრაქტიკა, არც ანტიდემოკრატიული კურსი, არც დაჭერა-დაპატიმრებანი და ბოლოს, არც საკუთარი ხალხის წინააღმდეგ იარაღის გამოყენება და 9 აპრილის კომუნისტ მესვეურთა მსგავსადვე, მაშინდელს ტყუპისცალივით დამსგავსებულ დეზინფორმაციის გავრცელებას მიჰყო ხელი.

არ შეიძლება, ამ უმძიმეს სიტუაციაში ქართველმა ახალგაზრდობამ თავისი მძლავრი სიტყვა არა თქვას!

**მოვუწოდებთ საქართველოს სტუდენტობას ერთიანობისაკენ!**

**მოვუწოდებთ ინტელიგენციას, იკისროს თამამი მისია — მოვლენებს დაარქვას თავისი სახელი!**

**მოვუწოდებთ სრულიად საქართველოს ჯანსაღი განსჯისაკენ!**

საქართველოს ხელისუფლებამ საკუთარ ხალხს ესროლა!..

მას აღარა აქვს ქვეყნის სათავეში ყოფნის მორალური უფლება!

**საქართველოს სტუდენტ-ახალგაზრდობის დროებითი კავშირი.**

**10 სექტემბერი, 1991 წელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სხვადასხვა ამბავი

## გაუშვეს და... შეუნარჩუნეს

როგორც მკითხველმა იცის, საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა, უმაღლესი კანონმდებელი ორგანო დაშლილია, მაგრამ დეპუტატებს შეუნარჩუნეს ხელფასი, ნომრები მოსკოვის სასტუმროებში, სამკერდე ნიშნები და წითელყდიანი პირადობის მოწმობები.

## ჩაიშალა საპატიო მიზეზით

საბჭოთა კავშირის სუკის კოლეგიის სხდომა ჩაიშალა საპატიო მიზეზით. მისი ძირითადი პირადი შემადგენლობა დაპატიმრებულია. მაგრამ, როგორც ჩანს, ბაკატინს მოუხდება ბევრ რამეზე თვალის დახუჭვა, რადგან მთლიანად თანამშრომელთა დაპატიმრება სუკის დაშლას გამოიწვევს, ამდენად, პასუხისგებაში მიცემა შერჩევით ხდება, თუ რა პრინციპით, ეს ჩვენთვის ცნობილია არაა.

## ვინ არის თავისუფალი?

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის საკავშირო ცენტრმა სხვადასხვა რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოშიც, ჩაატარა სოციოლოგიური გამოკითხვა იმის შესახებ, შეიძლება თუ არა საბჭოთა კავშირში იცხოვრო ისე, რომ არ დაარღვიო კანონი? პასუხები ასეთი იყო: დიახ, შეიძლება — 30%, არ შეიძლება — 51%, მიძნელდება პასუხის გაცემა — 20%. ხოლო კითხვაზე, გრძნობთ თუ არა თავს თავისუფალ ადამიანად, აქ უფრო დამაიმედებელი იყო პასუხები. ნახევარზე მეტს მიაჩნია, რომ ის თავისუფალია. თუ ამ ბედნიერთაგან რამდენია საქართველოდან, ეს ჩვენთვის არაა ცნობილი.

## გორბაჩოვ, „სვეჩამი"!

რუსეთის პროკურატურის განცხადებით, 19-21 აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით, სულ მალე დაკითხვაზე გამოიძახებენ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს. როგორც ფიქრობენ, დაკითხვა თუ მკაცრი და ობიექტური იქნება, შესაძლოა პრეზიდენტი აღარც დაბრუნდეს უკან. ამიტომ, იმასაც ამბობენ, გორბაჩოვი, ყოველი შემთხვევისათვის, „სვეჩამი" მიდისო დაკითხვაზე.

## ჟირინოვსკი აუქმებს ბალტიის დამოუკიდებლობას

საბჭოთა კავშირის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ვ. ჟირინოვსკიმ განაცხადა, რომ როცა ის სექტემბერში კონფედერაციის პრეზიდენტი გახდება, გააუქმებს ბალტიის ქვეყნების დამოუკიდებლობას.

## ისინი საელჩოს ხსნიან. — ჩვენ?

ვიდრე ჩვენ საქართველოში ერთმანეთს ვუსწორდებით, ბალტიის ქვეყნების ლიდერები იმაზე ფიქრობენ თუ, პირველ რიგში, სად, რომელ ქვეყანაში გახსნან საელჩოები. როგორც ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ რ. მიულერსონმა განაცხადა, პრობლემაა მხოლოდ სახსრების უკმარისობა.

## დემოკრატთა აზრით

კომპარტიის აკრძალვა რუსეთში, დემოკრატიული რეფორმების მოძრაობის ლიდერებს — გ. პოპოვს, ე. შევარდნაძეს, ა. სობჩაკს, ა. ვოლსკის, ა. იაკოვლევსა და სხვებს შეცდომად მიაჩნიათ. მათი აზრით, კომპარტია უნდა დარჩეს როგორც ოპოზიცია.

## საქართველოდან გატანილ არქივში

სუკის ყოფილი მაიორის ო. ზაკიროვის ცნობით, საქართველოს, სომხეთისა და სამხრეთ ოსეთის (სამწუხაროდ, მაიორი ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა გეოგრაფიაში) სუკის არქივები გასული წლიდან სმოლენსკის უშიშროების სამმართველოში ინახება. აქ, როგორც ჩანს, ბევრი საინტერესო დოკუმენტია 1940 წელს 15 ათასი პოლონელი ოფიცრის დახვრეტის შესახებ.

## ლენინს არ ელის ხიფათი

ბოლშევიზმის დამაარსებლის ვლადიმერ ლენინზე მზრუნველი ლაბორატორიის თანამშრომლების აზრით, ყოველგვარი გართულების გარეშე შეიძლება მისი დაკრძალვა სასაფლაოზე, რადგან გვამს




რომან მარჯანიშვილის ნახატი.

შეუძლია გაუძლოს ჩვეულებრივ ტემპერატურას და მისი სწრაფი გახრწნის საშიშროება არ არის. როგორც იტყვიან, ახლა სიტყვა პოლიტიკოსებს ეკუთვნით. თუ სად და როდის მოხდება ლენინის დაკრძალვა, ეს საკითხი მალე იქნება განხილული.

## დაიცავენ პუტჩისტებს

უკვე ცნობილია თუ ვინ დაიცავს პუტჩისტებს სასამართლო პროცესზე. მაგალითად იური ივანოვი კრიუჩკოვის ადვოკატი იქნება, პავლოვის დაცვა ალექსეი გალოგანოვმა იკისრა, გრუშკოსი ალექსანდრ კლიგმანმა, ხოლო პლეხანოვისა — ჰენრი რეზნიკმა. იაზოვმა აცილება მისცა ანატოლი ფოკოვს.

## ექსპერტთა გადაწყვეტილებით

ალექსანდრ შმონოვი, რომელიც 1990 წლის 7 ნოემბერს შეეცადა წითელ მოედანზე პარადის დროს ესროლა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვისათვის, შეურაცხადად, გიჟად სცნეს. როგორც „მოსკოვსკიე ნოვოსტი" იუწყება, თავის დროზე შეურაცხადად იქნენ აგრეთვე მიჩნეულნი სხვა თავდამსხმელებიც — კობახიძე და კაირისი. პირველი 1987 წლის 1 მაისის დემონსტრაციაზე აპირებდა მ. გორბაჩოვის მოკვლას, მეორე — თავის ირგვლივ მყოფთა აფეთქებას. გაზეთისავე ცნობით, მათ დაამთავრეს მკურნალობა და ახლა თავისუფლები არიან.

## ჯილდო... გულმავიწყობისათვის

19-21 აგვისტოს მოვლენების დროს, პუტჩისტთა არმიებს მოსკოვში არ დაუკავებიათ ბევრი მნიშვნელოვანი ობიექტი, რომლებიც აღნიშნული არ იყო... მოსკოვის ტურისტულ რუკებზე. მათი საშუალებით იკვლევდნენ გზებს პროვინციებიდან მოსკოვში გამოძახებული საჯარისო შენაერთები. აღმოჩნდა, რომ ბევრი მათგანი პირველად იყო მოსკოვში და უფრო მისი ღირსშესანიშნაობანი აინტერესებდა, ვიდრე შეთქმულთა საქმეები. ამბობენ, გზამკვლევთა გულმავიწყი შემდგენლები ამ ობიექტების გამოტოვებისათვის სახელმწიფო ჯილდოებს [illegible]

სხვადასხვა ამბავი

---

# საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის პირველი სხდომის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის პირველი სხდომა გაიმართება 1991 წლის 15 სექტემბერს 10 საათზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომათა დარბაზში (პ. ინგოროყვას ქ. № 7).

უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია იწარმოებს 15 სექტემბერს 8 საათსა და 30 წუთიდან.

---

# ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა დანიშნა:

**ნოდარ ქუჩუკის ძე გიორგაძე** — საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად;

**ბესიკ თენგიზის ძე ქუთათელაძე** — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ;

**ვახტანგ თედორეს ძე ქობალია** — საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსად;

**აკაკი გრიგოლის ძე რეხვიაშვილი** — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის დეპარტამენტის თავმჯდომარედ;

**პაატა ელგუჯას ძე კვიჟინაძე** — საჩხერის რაიონის პრეფექტად.

---


## ყურადღება!

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" რედაქციას ესაჭიროება კვალიფიციური მბეჭდავ-მემანქანე. ცნობებისათვის გთხოვთ, დარეკოთ: 93-31-49.


---


## სააქციო-უნივერსალური ბანკის „იბერიაბანკის" აქციებზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!

საქციო უნივერსალური ბანკის „იბერიაბანკის" დამფუძნებლები იუწყებიან, რომ მიმდინარე წლის 23 სექტემბერს, დილის 11 საათზე, თბილისის სპორტის სასახლეში შედგება ბანკის დამფუძნებელი კონფერენცია.

ბანკის აქციებზე ხელმომწერთა დასწრება კონფერენციაზე სავალდებულოა. რეგისტრაცია იწარმოებს სპორტის სასახლის ფოიეში 22 სექტემბერს, კვირას, დილის 12 საათიდან დღის 3 საათამდე და 23 სექტემბერს, ორშაბათს დილის 10-დან 11 საათამდე.

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ ტელეფონებით: 98-50-70, 99-02-76.

**საქციო უნივერსალური ბანკის „იბერიაბანკის" დამფუძნებლები.**


---

# ჟურნალისტის განცხადება

საქართველოში 1924 წლის აგვისტოს სისხლიანი მოვლენების შესახებ დღეს ბევრი რამ არ არის ცნობილი. მე მიმაჩნია, რომ აჯანყების თითოეულ მონაწილეს, თითოეულ მსხვერპლს, თავისი ბიოგრაფი სჭირდება. იმ დღეებში საოცარი, სულისშემძვრელი ფაქტები დაფიქსირდა. დღეს მათ გამომზეურებას წინ არაფერი არ უნდა დაუდგეს, თუმცა...

ჩვენს გაზეთში 31 აგვისტოს უნდა დაბეჭდილიყო მასალა საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონში ზუსტად 67 წლის წინათ დატრიალებულ შემზარავ სასაკლაოზე, მის ორგანიზატორებზე...

მოხდა ისე, რომ იმ დღეს უფრო ვრცელი ოფიციალური მასალის დაბეჭდვის გამო, ეს წერილი ვერ გამოვაქვეყნე. მომავალ შაბათს, 7 სექტემბერს კი ჩვენი გაზეთი არ გამოსულა. ამასობაში რედაქციაში მოვიდნენ ახლობლები იმ ტრაგედიის ერთი ორგანიზატორისა, რომელიც ამჟამად ერთ-ერთ პანთეონში განისვენებს.

კარგად მესმის, დიდი იქნება ის ტკივილი, რომელიც მათ შეიძლება მიადგეთ ამ პუბლიკაციით, მაგრამ ოდესმე ხომ მაინც უნდა გასწორდეს წარსულის შეცდომები.

ჩვენი პოზიცია ასეთია — შეუძლებელია 1924 წლის სისხლიანი სასაკლაოს მომწყობნი პანთეონში წმინდა ქართველთა გვერდით განისვენებდნენ.

ერთხელაც ვიტყვი — პუბლიკაცია თვითმიზანი არ არის. უბრალოდ, თუ ეს დიდი შეცდომა გამოსწორდება, რედაქცია ეცდება არ განუახლოს ტკივილი იმ ჯალათის (გვარის დასახელებისაგან ჯერჯერობით თავს ვიკავებ) ოჯახის წევრებს, ნათესავებს, რადგან ვთვლით, რომ ახლა ნებისმიერი ქართველის მოფრთხილება უფრო დიდი საქმეა, ვინემ მკვდრებზე გალაშქრება.

მიუხედავად ამისა, ვიმედოვნებ, რომ წითელი კომუნისტების შეცდომა, რომელიც მათ 1969 წელს იმ პიროვნების პანთეონში დაკრძალვით დაუშვეს, უახლოეს ხანში გამოსწორდება.

ბიბლა ბოგეჩია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ავღანელთა“ მოსაზრებით

**რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ნოდარ გიორგაძე, რომელიც ამავე დროს ავღანელთა კავშირის თავმჯდომარეცაა.**

**ჩვენი კორესპონდენტი მაია თუნგია შეხვდა ავღანელთა კავშირის წევრებს და ორი შეკითხვით მიმართა მათ.**

●

**1. როგორ ფიქრობთ, ეს დანიშვნა ხომ არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ — ე. წ. ავღანელები რეზერვში არსებულ სამხედრო შენაერთად იგულისხმებით?**

**2. საქართველოში დაძაბული პოლიტიკური ვითარებაა. არ არის გამორიცხული ძმათა შორის სისხლისღვრის პროვოცირება. ასეთ შემთხვევაში როგორი იქნება პირადად თქვენი პოზიცია?**

●

**ნუგზარ მიხანაშვილი, ავღანელთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე:**

— ჩვენი კავშირი საქველმოქმედო ორგანიზაციაა — ვზრუნავთ ჩვენს ინვალიდებზე, გვაქვს სხვა პრობლემებიც. ამასთან, კავშირის ყველა წევრს აქვს ინდივიდუალური არჩევანის უფლება — ზოგი „ავღანელი“ გვარდიაში მსახურობს, ზოგი ოპოზიციის რიგებსა თუ მთავრობაშია, მეორე შეკითხვიდან დავიწყებ:

ჩვენ ისეთი დღეები გვაქვს გამოვლილი, რომ ყველას ერთი სურვილი გვაქვს — ერის სიმშვიდე. ღმერთმა ნუ ქნას, ძმათა შორის სისხლისღვრა მოხდეს. ეს არ უნდა დავუშვათ. მაგრამ თუ მაინც მოხდება რაღაც, ჩვენი კავშირის მიერ რომელიმე მხარისადმი მხარდაჭერა გამორიცხულია. ეს ჩვენს პროგრამაშიცაა ასახული. ჩვენ, ალბათ, მოწინააღმდეგეებს შუაში ჩავუდგებით, რათა სისხლის ღვრა შეწყდეს.

რა თქმა უნდა, მივესალმებით, თავდაცვის სამინისტროს შექმნას. გაგვეხარდა, როცა მინისტრის მოვალეობის შესრულება ჩვენი კავშირის თავმჯდომარეს დააკისრეს. მაგრამ ეს არ მოახდენს გავლენას კავშირის საქმიანობაზე. ჩვენ აბსოლუტურად დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაცია ვართ. ჩვენს ძირითად საკითხებს კავშირის გამგეობა წყვეტს. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ჩვენ (სულ 7000 ავღანელი ვართ საქართველოში) ერის ჯარისკაცები ვართ, ჩვენს გამოცდილებას საჭიროების შემთხვევაში რესპუბლიკის გარეშე მტერისაგან დასაცავად გამოვიყენებთ.

**გია ურმაშვილი:** ჩვენ მხარს ვუჭერთ ვითარების სტაბილიზაციას. ყველა „ავღანელის“ სახელით შემიძლია განვაცხადო, რომ წინააღმდეგი ვართ ყოველგვარი სისხლისღვრის (ჩვენ ვიცით რა არის ეს), მითუმეტეს ძმათა შორის.

**ზურა ცოცხალაშვილი:** მე პირადად არ ჩავერევი, ახლოსაც არ გავეკარები. თუ ჩავერიე, იმ მიზნით, რომ შევაჩერო ძმაზე აღმართული ძმის ხელი.“

**არსენა ნოზაძე:** დიახ, ჩვენი ბიჭების უმრავლესობის აზრია, თუ ქართველებს შორის სისხლისღვრის პროვოცირებას ექნება ადგილი, ჩვენ შუაში ჩავდგებით, რომ ყველა დარტყმა მივიღოთ.

**ლვთისო შიუკაშვილი** — არ უნდა დავუშვათ, რომ ერთმანეთს ტყვიებით ველაპარაკოთ. არცერთ ცივილიზებულ ქვეყანაში ასე არ ხდება. თუ მაინც მოხდება, შუაში ჩავდგებით. თუ მესვრიან, მესროლონ.

# ამბები პურის რიგიდან

**რიგები** აღარ გვიკვირს. რიგები კი არა, თავ-პირის მტვრევაა კარაქზე, ხორცზე, ყველზე, ბრინჯზე და რაღაზე არა. რიგების რიგს კიდევ ერთი რიგი მიემატა — რიგები პურზე.

**პურის მაღაზიასთან. დილის ცხრის ნახევარი.**

ცარიელი დახლები. სალაროსთან მოთმინებით ზის მოლარე და გულგაწვრილებული ბუზებს იგერიებს.

— როდის მოიტანენ პურს?

— არ ვიცი, ბატონო, ახლა სულ სხვადასხვა დროზე მოაქვთ...

საათნახევრის ლოდინის შემდეგ პური მოიტანეს. მაღაზიიდან ახალგაზრდა ქალი გამოდის.

— ქალბატონო, ამდენი პური რისთვის შეგიძენიათ, ასე მრავალრიცხოვანი ოჯახის დიასახლისი ბრძანდებით?

— არა, ორი შვილი მყავს, მაგრამ მშივრებს ხომ არ დავტოვებ, ამბობენ, მალე პური აღარ იქნებაო და ზამთრისთვის ვიმარაგებ, ვაშრობ და პარკებში ვინახავ... (?!)

●

ჩვენ შეკითხვით მივმართეთ ბატონ **ვანო ჭეჭელავას** — პურფუნთუშეულის, მაკარონისა და საფუარის ნაწარმის სამმართველოს უფროსს.

— **რამდენად შეეფერება სინამდვილეს ის განწყობილება, რაც მოსახლეობაშია, პურის რა რეზერვი გაგვაჩნია დღეისათვის?**

— ჯერჯერობით ორი თვის მარაგი გვაქვს. ზუსტად პერსპექტივებზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ არა მგონია ასეთი პროგნოზი გამართლდეს, რამეთუ ვმუშაობთ, ვამყარებთ კავშირ-ურთიერთობებს, თანდათან ყველაფერი კალაპოტში ჩადგება.

— **პურის მაღაზიებთან რიგებს რითი ხსნით?**

— ხალხი პანიკამ მოიცვა. ნახეთ, ნებისმიერი სურსათის რა მარაგი გააჩნიათ ოჯახებს, არა და, რომ ვთქვათ, ყველაფრის დეფიციტს უჩივიან. ესე იგი, ასე თუ ისე, რაღაც-რაღაცეებს შოულობენ.

არის შემთხვევები, როცა მაღაზიებში პური არ არის, ქარხნებში კი ტონობით პური აწყვია გამომცხვარი. ეს უფრო მაშინ ხდება, როცა მანქანები საწვავით არ არიან უზრუნველყოფილი.

ცენტრალურ მაღაზიებში პური ღამით შეგვქონდა ხოლმე, ისე რომ დილით პირველ საათამდე ქსელში პროდუქტი ყოველთვის იყო, ახლა კი დაშინებული ხალხი ისე ეზიდება ყველაფერს, რომ 10 საათისათვის ფაქტობრივად ვაჭრობა დამთავრებულია. გამოდის რომ, პური არაა, არა და შარშანდელ ამ დროსთან შედარებით პურპროდუქტები გაცილებით მეტი ცხვება.

**კოოპერატორთა საყურადღებოდ!**

ახლახან მიღებული განკარგულებით, ყველა ტიპის კოოპერატივებისათვის აიკრძალა სახელმწიფო რესურსებიდან მარცვლეულისა და ფქვილის გაცემა. რამეთუ კოოპერატიული პურის საცხობები იყენებდნენ ნედლეულის იმავე წყაროებს, რასაც სახელმწიფო საწარმოები.

ახალი წესებით გათვალისწინებულია, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე პურის, ფუნთუშეულისა და საკონდიტრო ნაწარმის წარმოება-რეალიზაციის ნება ეძლევა მხოლოდ იმ კოოპერატივებს, რომლებიც დამოუკიდებლად უზრუნველყოფენ თავიანთ მოთხოვნილებას შესაბამის რესურსებზე და მას რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შემოიტანენ.

●

ამას წინათ, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ რაიონში ვიყავი. — თითო მოსახლეზე გაიცემა 400 გრამი პური — იტყობინებოდა მაღაზიებში თვალსაჩინოდ გამოკრული აბრა. თაროებზე კი სათითაოდ დათვლილჩაბარებული პური ელოდა ტალონების წარმომდგენთ.

— დავუშვათ სტუმარი ჩამოვიდა რაიონში, იმან რაღა უნდა ჰქნას?

— თითო სულ მოსახლეზე გაიცემა მხოლოდ 400 გრამი პური — — ვეკითხები გამყიდველს.

— ხანდახან თუ ვატყობთ პური გვრჩება, ასეთ შემთხვევაში მსურველებს ვაკმაყოფილებთ.

— პური ახალია? კითხულობს მამაკაცი

— ბატონო ჩემო, დღეს პური აღარ გვიძველდება.

— თეთრ პურს რატომ არ აცხობენ, 400 გრამს გვაძლევენ და ისიც ისეთი შავი და მჟავეა, რომ მგონი რაღაც ავადმყოფობას გავიჩენ. თბილისშიც ტალონებზეა პურიო, მართალია, ბიძიკო?

●

ჯერჯერობით თბილისში პური ტალონებზე არ იყიდება, მაგრამ როგორც ბატონმა ვანო ჭეჭელავამ გვითხრა, უნდა შემოიღონ რაღაც სისტემა, დაწესდეს პურის გაყიდვის ნორმა, ალბათ შეგიმჩნევიათ რაიონში მიმავალი ხალხი, დიდი რაოდენობით პურს რომ ეზიდება დედაქალაქიდან. დაუშვებელია პირუტყვის გამოკვება პურის პროდუქტებით. არა და საქართველო მთელ საბჭოთა კავშირში პურის ყველაზე დიდი მომხმარებელია.

●

**ტაქსში** — შესვენებაზე მივდივარ, გლდანისკენ თუ გნებავთ, წამობრძანდით — მთავაზობს მძღოლი და ვხედავ წინ სავარძელზე რამდენიმე რიგად უწყვია პური. — მთელი მაღაზიები ჩამოვიარე, მითხრეს პურს ორ-ორზე მეტს არ ვიძლევითო. ძლივს შევაგროვე, მგონი ხუთ მაღაზიაში მაინც ვიყავი. ყველას ეშინია, მეც მეშინია, ჩემს თავს არ დავეძებ, ბავშვებს ხომ ვერ დავტოვებ უპუროდ.

●

ქართველ კაცს ტრადიციებზე, წეს-ჩვეულებებზე ალბათ ძნელად თუ ვინმე ათქმევინებს უარს. ჰოდა, აბა ვინაა დაზღვეული რომ, ჭირის სუფრა ღმერთმა გვაშოროს, და ქორწილი, ძეობა, ხალხმრავალი სტუმრიანობა წელიწადში ერთხელ მაინც არ ექნება. ვთქვათ ყველაფერი ბაზარში შეიძინეთ, — პური?

ახალი დებულების თანახმად, იმ შემთხვევაში, როცა ოჯახური პირობების გამო დიდი რაოდენობით პურის შეძენა გჭირდებათ, ორი დღით ადრე განცხადებით უნდა მიმართოთ სავაჭრო ორგანიზაციებს, პრეფექტურებს.

**ერთი შეკითხვა მათ, ვისაც შეუძლია გვიპასუხოს...**

ამ დღეებში, მეც სხვა მყიდველებთან ერთად არაერთხელ მომიწია პურის რიგში დგომა. სასაუბროს და საკამათოს რა გამოლევს, მაგრამ ამ მასალის მომზადებისას მომხმარებლებისა თუ მკითხველების ინტერესი — თუ რატომ ღირს ერთი კილოგრამი პურის ფქვილი მანეთი, ხოლო გამომცხვარი პური 30 კაპიკი — პასუხგაუცემელი რჩება, რამეთუ კონკრეტულ პასუხისმგებელს ამ კითხვაზე საპასუხოდ ვერ მივაგენი.

**ნინო კვაჭანტირაძე**

# საერთაშორისო ცხოვრება

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ყურადღების ცენტრშია: როგორც დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, რუსთაველის პროსპექტი საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრების სიმბოლოს წარმოადგენს. აქ ტარდება როგორც საქართველოს პრეზიდენტის მომხრეთა რეგულარული მიტინგები, ასევე ოპოზიციურ პარტიათა აქციები, მათი მოთხოვნები იგივეა — პრეზიდენტის გადადგომა და ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება.

ამასთან, აღნიშნავენ, რომ თბილისის უნივერსიტეტის ეზოში დაიწყო საპროტესტო აქცია, რომელიც ორგანიზებულია მწვანეთა პარტიის, ლიბერალური ოპოზიციის ბლოკისა და ინტელიგენციის წარმომადგენლების მიერ, რომელთა მოთხოვნები თითქმის მთლიანად ემთხვევა რადიკალურ მოთხოვნებს.

როგორც რადიო „თავისუფლება“ აღნიშნავს, პარლამენტის შიგნით და მის გარეთ არსებული ერთიანობის გულდასმით დახატულ სურათს ბზარები გაუჩნდა. მათი აზრით, ამას მოწმობს, ჯერ ერთი, უნივერსიტეტის ეზოში პარლამენტის წევრთა ერთი ჯგუფის გამოჩენა, ასევე კრიტიკული შენიშვნები ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის გაზეთში, რადგან ეს ორგანიზაცია მმართველი ბლოკის — მრგვალი მაგიდის ერთ-ერთ წამყვან წევრს წარმოადგენს.

დასავლეთის კორესპონდენტები მიუთითებენ, რომ ბევრი რამ უნდა გადაწყდეს რესპუბლიკის პარლამენტის სესიაზე, რომელიც კვირას არის მოწვეული, დასავლეთის საინფორმაციო საშუალებები ოპოზიციის ლიდერთა დამოწმებით აღნიშნავენ, რომ სხდომა, რომელიც თავდაპირველად ორშაბათს იყო დანიშნული, გადმოიტანეს კვირას, იმასთან დაკავშირებით, რომ ორშაბათს თბილისში უნდა ჩატარდეს ოპოზიციის მასობრივი მიტინგი.

ჩვენი მხრიდან დავძენთ, რომ ასეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები არ შეიძლება ქუჩებში, მიტინგებზე გადაწყდეს, კონფრონტაცია და დაპირისპირება კარგს არაფერს უქადის მომავალ თავისუფალ საქართველოს, რომელიც ჭეშმარიტად თავისუფალ პიროვნებათა საქართველოდ უნდა იქცეს. აუცილებელია დიალოგის დაწყება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ისტორიის ამ გადამწყვეტ ეტაპზე.

●

გაეროს უშიშროების საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი ბალტიის ქვეყნების მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. მოსალოდნელია, რომ უშიშროების საბჭოს ამ რეკომენდაციას მოიწონებს გაეროს გენერალური ასამბლეის სესია, რომელიც სამშაბათს იწყება.

ამასობაში ლიტვაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი, რომელიც მანამდე ლატვიასა და ესტონეთს ეწვია. გენშერმა უარი თქვა ლიტველთა მოთხოვნაზე იმის შესახებ, რომ გერმანიამ გადაუხადოს ბალტიის რესპუბლიკებს რეპარაციები მეორე მსოფლიო ომში მიყენებული ზარალისათვის, თუმცა ამასთანავე განაცხადა, რომ ის მხარს დაუჭერს ამ ქვეყნების მიღებას ევროპის თანამეგობრობის ასოცირებულ წევრებად.

(დასასრული მე-8 გვ.).

## ფსიქოლოგიური პრაქტიკუმი

## შეამოწმეთ თქვენი თავი

დააკვირდით და იპოვეთ ამ ორ ნახატს შორის რა განსხვავებაა.

პასუხები გთხოვთ მ... ...ნოთ მომავალი წლის 2 სექტემბერს თბილისში, ...ის სახლთან. გამარჯვებულებს იქვე ხელჯოხით ... ...ტიულად გამოუბერტყავენ ანალოგიით აღძრ... სხვ. გვარ აზრებს.

მ. დავითაძე.



## დღის რეპორტაჟი














# „ახლა ეს შეიძლებოდა?.."
# „დიახ, შეიძლებოდა!.."

### ანუ ვინ არის თავის უფალი დღევანდელ საქართველოში

**ხშირად** გავიძახით, რომ საქართველო მხოლოდ თბილისი არ არის, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ, როცა საქართველოს უჭირს, სწორედ თბილისში წყდება ერის ბედ-იღბალი. ასეა ამ ბოლო დღეებშიც, როცა თბილისი კვლავ იქცა მიტინგების, მსვლელობების, საპროტესტო აქციების ადგილად. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ აქციების დიდი ნაწილი ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტისა და ხელისუფლების წინააღმდეგაა მიმართული.

ყველაფერი კი 2 სექტემბერს დაიწყო, როცა თბილისში პირველი „ცხელი წერტილი" გაჩნდა —რუსთაველის მოედანზე „ომონმა" ხელკეტებით დაარბია და ცეცხლი გაუხსნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ მოწყობილი მიტინგის მონაწილეებს. როგორც ხელისუფლება შეგვპირდა, გამოძიება ყველაფერს დაადგენს და დამნაშავეები დაისჯებიან. მანამდე კი მკითხველს მოვუთხრობთ იმის შესახებ. რაც იმ დღეს საკუთარი თვალით ვნახეთ. ვნახეთ კი ის, რომ მიტინგი დაწყებამდე დაარბიეს ისე, რომ პირველი სიტყვის თქმაც ვერავინ მოასწრო. თავდაპირველად შეკრებილთ იმან დასცა თავზარი, თუ როგორი გამეტებით ურტყამდნენ მუზარადიანი და ჯავშანჟილეტიანი „ომონელები" კინოს სახლის წინ კიბეებზე მდგარ ადამიანებს. ხალხი ერთხანს გაოგნდა, მერე კი საშველად მიაწყდა კიბეებს და „ომონელთა" ხელკეტებმაც უმალ მათ ზურგზე გადაინაცვლა. შემდეგ კი, რომ იტყვიან, მონასტერი აირია და ხალხმა რითიც შეძლო, იმით სცადა თავის დაცვა — დამრბევთა მხარეს შხუილით წავიდა ქვები. ხის ნამტვრევები და... „ომონელებმა" ცეცხლიც გახსნეს. ხალხი დაიფანტა, ვინ საით გაიქცა, მივრბოდით მერაბ კოსტავას სახლისკენ. თავს ზემოთ ტყვიები წუოდა. მაინც ერთმანეთს ვამშვიდებდით, ნუ გეშინიათ, ტყვიას როგორ გვესვრიან, ფუჭი ვაზნები ექნებათო. სულ მალე იმ „ფუჭი ვაზნებით" დაჭრილი ადამიანებიც ვნახეთ...

მიტინგი კი მაინც შედგა და სიმართლე გითხრათ, ვერ მივხვდით. რატომ არბევდნენ მას, რა ითქვა ისეთი, რაც მანამდეც არ იცოდა ხალხმა, იცოდა კი არა, იქ ნათქვამის დიდი ნაწილი გაზეთშიც დაიბეჭდა. ხოლო ჭეშმარიტებას ხომ ვერც ის მიტინგი დაადგენდა და ვერც „ომონელების" ხელკეტები და ტყვიები გაამართლებდა.

ზემოთაც ვთქვით, ხელისუფლება დამნაშავეების დასჯას შეგვპირდა, მაგრამ რას მოგვცემს ერთი-ორი კონკრეტული პიროვნების დასჯა, როცა იმ დღეს ყველა დავისაჯეთ, რადგან საკუთარი თვალით ვიხილეთ ქართველმა (იმ შემთხვევაში ხელისუფლების წარმომადგენელმა) ქართველზე (იმ მომენტში რიგით მომიტინგეზე) როგორ აღმართა ხელი, უფრო ზუსტად კი — ხელკეტი და ტყვია.

ასე აგორდა აღშფოთების ტალღა, ხალხი ხელისუფლების მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად დაიყო და თბილისშიც უმალ გაჩნდა მათი თავშეყრის რამდენიმე ადგილი. რადგან ყოველივე შემდგომ მომხდარის ათვლის წერტილი რუსთაველის მოედანი გახდა, ჩვენც აქედან დავუყვეთ პროსპექტსა და მოვლენებს.

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბ-ბინასთან დაიწყო და დღემდე გრძელდება მჯდომარე აქცია, რომლის „მოთხოვნებია: აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების სრული გამიჯვნა, ერთა ლიგის მიერ დე-ფაქტოდ და დე-იურედ ცნობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, აღდგენა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება, 1991 წლის 2 სექტემბრის მიტინგის დამრბევთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, პოლიტპატიმრების განთავისუფლება და სხვა. პარტია ყოველდღე მართავს მიტინგებს. ერთ-ერთ მიტინგზე მოვიდნენ „ლემისა" და „სამმოს" წარმომადგენლები, რომლებმაც ურთიერთგაგებისა და შერიგებისაკენ მოუწოდეს შეკრებილთ. ამავე მიტინგზე მოვიდა ინტელიგენტთა ერთი ჯგუფი, რომელმაც დაგმო ქართველის ქართველზე წაქეზების პოლიტიკა და უსურვა ყველა ქართველს და საქართველოს მოქალაქეს შინაგანი თავისუფლების მოპოვება.

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ თავის შტაბ-ბინასთან, რუსთაველის პროსპექტზე ბარიკადები აღმართა, ამ პარტიის წევრებმა ხალხის შეკითხვაზე, თუ რაში სჭირდებათ ეს ბარიკადები, რომელსაც თუ დაგჭირდა წამში დაანგრევ, მიუგეს: ეს არის ჩვენი პასუხი პრეზიდენტის მოწოდებაზე, რომ ქუდზე კაცს მოუხმობს თავისი მტრების დასათრგუნად.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინასთან შეკრებილი ხალხი სისტემატურად ისმენს სხვადასხვა პარტიებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების მიმართვებს, რეზოლუციებს და სხვადასხვა ინფორმაციას, რაც ძირითადად ხელისუფლების პოლიტიკის უარყოფით შეფასებას და პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნას შეიცავს. აქვე, პარტიის შტაბ-ბინის წინ მიმდინარეობს საპროტესტო აქცია. რამდენიმე დღის წინათ ამ პარტიამაც აღმართა ბარიკადები — დიდი ბეტონის ფილები.

ოპერის ბაღში ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მჯდომარე აქცია მიმდინარეობს; ოპერის შენობის წინ — საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტიის, სურათების გალერეასთან კი — საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის საპროტესტო აქციები. მათი ძირითადი მოთხოვნაც პრეზიდენტის გადადგომა და პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებაა.

I საშუალო სკოლასთან საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის აქცია მიმდინარეობს, „ურთიერთ სიყვარულის გარეშე არ არსებობს თავისუფლება", „ინფორმაციის თავისუფლება ადამიანის პიროვნული თავისუფლების საწინდარია", „ძირს დიქტატურა!" „პრეზიდენტის ინსტიტუტი უცხო და მიუღებელია ქართველთათვის!" — ასეთია აქციის მონაწილეთა მოწოდებები.

მთავრობის სახლთან კი პოლიტიკურ ბლოკში „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო" შემავალი პარტიებისა და ორგანიზაციების საპროტესტო აქციები, მათ შორის შიმშილობის აქციაც მიმდინარეობს. აქ გამართულ მიტინგებზე გამოთქმული ძირითადი აზრი ისაა, რომ შინაურმა კონფლიქტებმა შეიძლება ხელი შეუშალოს მსოფლიოს მიერ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ცნობას და ამიტომ საჭიროა საქართველოს საზოგადოებრიობის, მთელი პოლიტიკური ძალების ერთიანობა და მშვიდობიანი დიალოგი. მაგრამ ამ მშვიდობიან დიალოგს უთუოდ ვერ შეუწყობს ხელს ის მკაცრი ტონი, რომლითაც ამ მიტინგების ბევრი მონაწილე მოითხოვს თანამოძმის ჩაქოლვას, დასჯას, მოკვეთას.

ყოველივე იმის ოპერატიულ ასახვას, რაც დღეს თბილისში ხდება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისაგან და, პირველ რიგში, ტელევიზიისაგან მოელის ხალხი, მაგრამ... სწორედ ამიტომ ტელევიზიის მუშაკთა ერთმა ჯგუფმა მოაწყო მიტინგი, რომლის მონაწილეებმა მოითხოვეს, შეწყდეს ტელევიზიის ბლოკირება და სამარცხვინო კოლექტიური წერილების კითხვა საინფორმაციო პროგრამებით, დაეთმოს ოპოზიციის გარკვეული საეთერო დრო. მიტინგის მონაწილეებს ამ მოთხოვნის შესრულებას დაპირდნენ, მაგრამ რადგან ეს მოთხოვნები არ შესრულდა, ტელერადიოდეპარტამენტის წინ დაიწყო საპროტესტო აქცია, რომლის მონაწილენი მოითხოვენ ტელერადიოდეპარტამენტის ხელმძღვანელობის გადადგომას, ტელევიზიისა და რადიოს ჟურნალისტების უფლებების დაცვას. ამ აქციის მონაწილეთ დაუპირისპირდა ტელერადიოდეპარტამენტის თანამშრომელთა მეორე ჯგუფი, რომელმაც წინა დღეს მოაწყო მიტინგი.

დაბოლოს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც ყოველთვის იყო და კვლავაც რჩება სიბრძნის ტაძრად ამ სიტყვის მრავალმხრივი გაგებით, რაც ერთდროულად მოიცავს ჭეშმარიტ და პირუთვნელ აზრს, სიკეთეს, სიქველეს, მიმტევებლობას, სამართლიანობას...

სწორედ ამ თვისებებით გამოირჩევა უნივერსიტეტის წინ გამართული ყველა აქცია, რომელშიც მონაწილეობს საზოგადოებრიობის ის ნაწილი, რომელსაც სიტყვაც და საქმეც გამორჩეული აქვს. და სწორედ აქ გამართულ მიტინგებზე გამეორდა პირველად კინოს სახლთან გამოთქმული აზრი პრეზიდენტის გადადგომის აუცილებლობის შესახებ.

ამ დღეების განმავლობაში ჩვენ ვუსმენდით და თავადაც ვესაუბრებოდით თბილისის ქუჩებში გამოსულ ადამიანებს. მათმა ნაწილმა ჩვენთან საუბრისას საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა:

3 სექტემბერს კინოს სახლთან ხანდაზმული კაცი გაცხარებით ეკამათებოდა ახალგაზრდას: „აბა როგორ გინდა, ბიძიკო, პრეზიდენტია, კეთილ ინებე და დაემორჩილე, ის გააკეთე, რასაც გიბრძანებს, ხომ გითხრათ, მიტინგი არ ჩაატაროთო, ჩაატარეთ და მიიღეთ კიდეც, რაც გეკუთვნოდათ. რაკი აირჩიეთ და ვენდეთ, კიდეც უნდა დავუჯეროთ, რასაც გვეტყვის.

— როგორ, ყველაფერი უნდა დავუჯეროთ? — არ ეპუებოდა ახალგაზრდა.

— დიახაც, ყველაფერი!

— კარგი, ბატონო, ხვალ რომ გვითხრას, აღარ ისუნთქოთო, ისიც დავუჯეროთ?

— დიახ! უნდა დავუჯეროთ...

9 სექტემბერს რუსთაველზე აღმართულ ბარიკადებთან შეგვხვდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური პედიატრიის კლინიკური ორდინატორი გოჩა აბუთიძე, რომელმაც გვითხრა: ჩემი აზრით 2 სექტემბერი უფრო საშინელი იყო საქართველოსთვის, ვიდრე 9 აპრილი, რადგან 2 სექტემბერს ქართველმა ქართველს ესროლა. მიზეზი არ არის მთავარი. ხელისუფლება, რომელსაც ხალხთან ურთიერთობის იარაღად ხელკეტი და ტყვიაღა რჩება, უნდა გადადგეს. ერთადერთი, რაშიც ვეთანხმები ხელისუფლებას, გაზეთების გაუქმებაა, რადგან ყველა ერთს და იმავეს ბეჭდავთ და რა საჭიროა ამდენი გაზეთი...

ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს ალეკო დაუშვილს მიაჩნია, რომ ორივე მხარე დამნაშავეა, საჭიროა გზების ძიება, რათა სიტუაცია განიმუხტოს. საჭიროა კომპრომისი. 2 სექტემბრის აქცია საქართველოს მტრებს აძლევს ხელს. მიტინგი შეიძლებოდა ჩატარებულიყო ყოველგვარი ექსცესების გარეშე და რომ დაერთოთ მისი ჩატარების ნება, ეს იქნებოდა ჩვენში დემოკრატიის დადასტურება. ეს ფსიქოზი, რომელიც ახლა სუფევს ჩვენს საზოგადოებაში, უფსკრულში გადაგვჩეხავს ყველას და გამოსავალს ვერ ვნახავთ. მე არც ერთი პარტიის წევრი არა ვარ და ვფიქრობ, რომ ეს საშუალებას მაძლევს მიუკერძოებელი და ობიექტური ვიყო. ჩვენი ხსნა კომპრომისსა და ერთიანობაში, მიმტევებლობაშია.

— კმარა ამდენი მიმტევებლობა, ამ მიმტევებლობას ბოლო უნდა მოეღოს, ყველა უღირსი ქართველი უნდა გააძევონ საქართველოდან. — ასე დაიწყო საუბარი თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის" თანამშრომელმა ლია კურტანიძემ, — ეს ღალატია, ახლა ეს შეიძლებოდა? რა დროს მიტინგები და დაპირისპირება იყო...

ლია კურტანიძის კოლეგას ნანა ყიფშიძესაც მიაჩნია, რომ ახლა მიტინგების მოწყობა ღალატის [...] რომ ჭანტურიასა და წერეთლის საქციელი სრულიად მიუღებელია და გამოსავალი მხოლოდ ის არის, რომ მხარი დავუჭიროთ პრეზიდენტს.

— ამ დღეებში ხშირად გაიგონებთ: ახლა ეს შეიძლებოდა? მივიღოთ დამოუკიდებლობა და მერე ვარკვიოთ ურთიერთობები. დიახაც, შეიძლებოდა! — გვითხრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან [...] რამ ქალარა კაცმა, — შეიძლებოდა კი არა, აუცილებელიც იყო, თუ გვინდა, რომ მსოფლიომ ოდესმე მაინც მოგვიჩინოს ადგილი დემოკრატიული ქვეყნების რუკაზე.

აი ასე ბობოქრობს ერთმანეთის საპირისპირო აზრები და იქნებ ერთგვარ რეზიუმედ გამოდგეს შორიდან, დემოკრატიული და დღეს უკვე თავისუფალი ლატვიიდან ჩამოსული ქართველი კაცის გივი მჭედლიძის გულისტკივილი:

— ოცდაათი წელია რიგაში ვცხოვრობ, მეუღლე ლატვიელია, ორი ვაჟი მყავს. ყოველთვის მინდოდა ჩემს შვილებს თავიანთ სამშობლოში ეცხოვრათ და ახლა გადავწყვიტე დაბრუნება. მეუღლე უსიტყვოდ დამთანხმდა, თუმცა მისი სამშობლო უკვე თავისუფალია. მაგრამ იმან, რაც მე დღეს საქართველოში ვნახე, თავზარი დამცა. გული მტკივა, რომ საქართველოს, რომლის ბედსაც გუშინ ბალტიის ქვეყნებიც შენატროდნენ (რადგან ასე ახლოს ვიყავით ჭეშმარიტ თავისუფლებასთან), ახლა თავისუფლებისა და დემოკრატიის ნიშანწყალიც არ ეტყობა. ხვალ მივემგზავრები რიგაში. იქ ბევრი ქართული ოჯახია, რომელიც ჩემს ჩასვლას ელოდება. რა ვუთხრა მათ, რა პასუხს მატანს საქართველო...

**გულნარა ბაშარული,**
**რუსუდან ლებანიძე.**















საქინფორმისა და ოლეგ გველესიანის ფოტოები.

დღის რეპორტაჟი

## სასწავლო წლის დაწყებამდე



# თავისუფლება ღირსეულ ადამიანებთან მოდის

**დღეს ყველაფერზე საუბარი პოლიტიკით იწყება და მთავრდება. ამდენად ბუნებრივია, რომ ჩვენი ინტერვიუ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის რექტორთან გია მურღულიასთანაც პოლიტიკით დაიწყო და...**

**— პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ეროვნული მოძრაობის ალმავლობას საქართველოში საკლასო ოთახებისა და აუდიტორიების დაცარიელებაც მოჰყვა... ახლახან გამართულ პედაგოგთა ყრილობაზე ბატონმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ახლა, როცა მიტინგების დრო წავიდა, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, მათ შორის ახალგაზრდებიც უნდა დაუბრუნდნენ წიგნებს...**

**სამწუხაროდ, საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია კვლავ გამწვავდა... ამას დაერთო ისიც, რომ თბილისს, 16 სექტემბერს დაუბრუნდება საზოგადოების ერთ-ერთი პოლიტიზებული ნაწილი, სტუდენტებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის უზარმაზარი ტალღა... თქვენ, როგორც პედაგოგი, რას ფიქრობთ, საით წავა ეს ტალღა?**

— პოლიტიკური სიტუაცია და სასწავლო პროცესები სასურველია. არ დაუკავშირდეს ერთმანეთს. არის გასაკეთებელი საქმეები. რომლებიც არ უნდა ექვემდებარებოდეს მიმდინარე ცვლილებებს. მომავალი თაობის აღზრდის საქმეში ნაპრალი დროში არ უნდა ჩნდებოდეს. ვფიქრობ, ეს ცუდ შედეგს გამოიღებს მომავალში. ამ პროცესის უწყვეტობას უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, პროფესორ-მასწავლებელთა და მეორეს მხრივ მოსწავლე ახალგაზრდობის შეგნების დონე. სამწუხაროდ, ჩვენი პოლიტიკური კულტურა არ ამოჩნდა იმ დონეზე. [...] ეს გაცნობიერებინა. ის დაღი, რაც ამდენი ხნის მონობამ დაგვასვა, გაცილებით უფრო ღრმა ყოფილა, [...] ჩანდა. ჩემი აზრით. როგორც ყოველმა კონკრეტულმა პიროვნებამ. ისე ერმა, ერთმანეთს უნდა შეუფარდოს სურვილები და შესაძლებლობები.

მარტივი ჭეშმარიტებაა: სადაც შესაძლებლობა არ არის, იქ სურვილიც ვერ ხორციელდება. აქ ორი გზა არსებობს: ან უარი უნდა თქვა სურვილზე, ან შესაძლებლობა უნდა შეიქმნა.

ფაქტია, რომ ჩვენ უკვე განთავისუფლებულებსაც ძალიან გაგვეჭირდება. გაგვიჭირდება, რადგან ნაკლებად გვყავს პროფესიონალები ნებისმიერ დარგში. დღესდღეობით ჩვენში საზოგადოებრივი ცხოვრება ისე მიდის, რომ შესაძლებლობებს უახლოეს მომავალში ვერ ავიყვანთ ჩვენს სურვილებამდე. მე მაინც მგონია, რომ თუ ძალიან დიდხანს გაგრძელდა კონფრონტაცია საზოგადოებაში ეს ყველაფერი აპათიაში გადაიზრდება და სტუდენტი და მოსწავლე მერხს მიუბრუნდება. მიუხედავად საზოგადოებრივი კონფრონტაციისა. ჩვენში მაინც სწრაფი ნაბიჯებით დამკვიდრდება საბაზრო ეკონომიკა და გაჩნდება სოციალური დაკვეთა ცოდნაზე, ამგვარი დაკვეთა აუცილებელი პირობა გახდება დაწინაურებისა და უბრალოდ არსებობისაც კი.

დღეს რომ არსებობდეს სოციალური დაკვეთა ცოდნაზე, პოლიტიკისა და განათლების ინტერესები ასე მძაფრად არ დაუპირისპირდებოდა ერთმანეთს.

**— მაგრამ მაშინ სკოლაში უნდა კეთდებოდეს რამე. სკოლამ მეტად უნდა დააინტერესოს ახალგაზრდა, ვიდრე ქუჩის პოლიტიკამ. დღესდღეობით კი ჩვენს სასწავლო დაწესებულებებში ეს არ ხერხდება...**

— ამის თავიდან ასაცილებლად არსებობს ორი გზა. იქნებ ეს ორი გზა ერთმანეთს არც გამორიცხავს. პირველი — მკაცრად უნდა დადგეს სკოლებში დისციპლინის საკითხი. დისციპლინა ჩვენთან ძალზე შიშვებულია და მისი უკან მობრუნება უნდა მოხდეს დემოკრატიული ფორმებით. დემოკრატია და ქაოსი გამორიცხავს ერთურთს. პედაგოგი ყოველთვის თავის სიმაღლეზე უნდა იდგეს. ზღვარს არ უნდა გადასცდეს მასთან ურთიერთობა. სკოლის დირექტორმა უნდა მოკითხოს პასუხი პედკოლექტივს. მათ კი თავის მხრივ უნდა დაარწმუნონ მოსწავლე, რომ ყველაზე დიდი სამსახური ერისა არის სწავლა, რომ ყველაზე დიდი პოლიტიკური სარბიელი მისთვის სასწავლო პროცესია.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ახალგაზრდობა არ იყოს აქტიური პოლიტიკური ძალა, მაგრამ არ შეიძლება, რომ აწმყომ „შეჭამოს" მომავალი. დისციპლინა უნდა დაეფუძნოს ამის გაცნობიერებას.

აკრძალვებით ამ პროცესების რეგულირება შეუძლებელია. ახალგაზრდას ვერ მიუთითებ, სად უნდა იდგეს იგი, მითუმეტეს, როცა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის გაჩნდა ერთგვარი ბზარი. საჭიროა, პედაგოგისადმი ნდობის აღდგენა, სხვაგვარად არაფერი არ გამოვა...

**— ძნელი დასაჯერებელია, რომ მარტოოდენ პედაგოგის ავტორიტეტის აღდგენამ უშველოს საქმეს. განათლების სისტემა რადიკალურ ცვლილებებს რომ საჭიროებს, ამაზე უკვე მერამდენე წელია ვლაპარაკობთ, სამწუხაროდ, მხოლოდ ვლაპარაკობთ... დღემდე განათლების სფეროში ხომ ერთი რადიკალური რეფორმაც კი არ გატარებულა...**

— ერთი რეფორმა აზრს ვერ შესძენს სასწავლო პროცესს. ამიტომ აუცილებელია კონცეპტუალური ცვლილებები. წლების განმავლობაში ვამზადებთ ეროვნული განათლების კონცეფციას. ყველანი თანახმა ვართ, რომ სწავლა სავალდებულო არ უნდა იყოს, სასწავლო ფორმები უნდა იყოს მრავალფეროვანი, უნდა შეიცვალოს სასწავლო პროგრამები...

თქვენ რომ გადაშალოთ 20 წლის წინანდელი გაზეთები, ყველგან შეხვდებით ამგვარ ფრაზეოლოგიას. თქმა ერთია და ქმნა მეორე...

არსებობს რამდენიმე მიზეზი, რაც ხელს უშლის საქმის ადგილიდან დაძვრას. ჩვენ სამწუხაროდ ცუდად ვიცნობთ მსოფლიო გამოცდილებას განათლების დარგში, არა გვაქვს კონტაქტები, ამიტომ ხშირად თავიდან ვიგონებთ ხოლმე ველოსიპედს. როდესაც ქვეყანა განათლების მოდელს ირჩევს, უნდა ფლობდეს სრულ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ხდება მსოფლიოს განათლების სისტემაში, უნდა შეიქმნას ჯგუფები, რომლებიც ამაზე იმუშავებენ. საქართველომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს მთელი თავისი ინტელექტუალური პოტენციალი, მეცნიერებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლონ განათლების სამინისტროსთან.

მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ ქართველები მაქსიმალისტები ვართ და თან იდეალისტებიც. ამიტომაც ვესწრაფვით თავიდანვე სრულქმნილს. ჩვენ უნდა შევქმნათ არა იდეალური კონცეფცია, არამედ თუნდაც საშუალო, რომლის განხორციელებასაც დღესვე დავიწყებთ. ჩვენ ხომ ისეთ დღეში ვართ, რომ ფიქრიც და მოქმედებაც ერთდროულად უნდა დავიწყოთ და კიდევ, ცნობილი ქართული სიზარმაცე გვიშლის ხელს. საქართველოში არიან სახელმძღვანელოთა დამწერნი, სახელმძღვანელოები კი არა გვაქვს. ჩვენი მეცნიერები უფრო იმის მტკიცებას უნდებიან, რომ მათ შეუძლიათ სახელმძღვანელოების დაწერა. და კიდევ, სკოლებისაკენ უნდა მოიხედოს ინტელექტუალურმა ელიტამ.

**— თქვენ პრაქტიკოსი პედაგოგი ხართ, რამდენიმე დღეში შეხვალთ საკლასო ოთახში... საინტერესოა რით დაიწყებთ?**

— სიმართლე გითხრათ ამაზე არასოდეს ვფიქრობ, იყო ერთი კარგი ქართველი ლიტერატორი და თამადა სიმონ სხირტლაძე. ჭიქის ხელში აღებამდე მოფიქრებულ სადღეგრძელოს რა ვუთხარი მეო, ამბობდა. კლასში რომ შედის მასწავლებელი, მას უნდა ჰქონდეს ცოდნა და ზნეობა. თუ რით დაიწყებს იგი გაკვეთილს, ამას განაპირობებს მასწავლებლის განწყობილება, ხასიათი, ამინდიც კი.

**— სად დგეხართ დღეს როგორც ქართველი პედაგოგი, და სად გინდათ რომ იდგეს ქართველი ახალგაზრდობა?**

— ეს ისეთი შეკითხვაა, რომელსაც ერთხელაც იქნება და დაგისვამენ. მე უნდა მოგახსენოთ, რომ არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნი და არც ვეკუთვნოდი არასოდეს. ეს ჩემი პრინციპული პოზიციაა. იმაზე უკეთესი არაფერი მგონია, რომ კაცმა იპოვოს ის ადგილი, სადაც წაადგება ყველას: სამშობლოს, ოჯახს, საკუთარ თავს... მე მწამს, რომ ყველა ადამიანს აქვს შესაძლებლობების დიაპაზონი, სადაც მან უნდა იპოვოს თავისი თავი. მე მგონია, რომ არის რაღაც საქმე, რომელიც მე უნდა ვაკეთო, ჩემი საქმე, ვილაპარაკო ლიტერატურაზე, ვილაპარაკო იმაზე, რაც ქართულია. უნდა გვახსოვდეს გურამიშვილის სიტყვები — „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიდან მოსულა, სად არის, წავა სადაო".

პოლიტიკაში ხშირად მარადიული ღირებულებები განზე რჩება, ამწუთიერი ღირებულებები მოდის საკმაოდ ხშირად წინა პლანზე.

მასწავლებლის ფუნქცია არის ხიდის გადება თაობათა შორის. მასწავლებელი არის კაცობრიობის მეხსიერება. მასწავლებელი უნდა იყოს ცოდნისა და ზნეობის შემნახავი და გადამცემი კაცი. მასწავლებლობა მარადიულის მსახურებაა.

მე მინდა, რომ ჩემი თავი ეგრე მოვიაზრო და ამიტომაც არ ვთვლი თავს პოლიტიკოსად.

რომ არ გავექცე თქვენს შეკითხვას, გიპასუხებთ, რომ ახალგაზრდობა უნდა იდგეს იქ, რაც არ შეურაცხყოფს მის არსებას, მის ეროვნულ თვისებას. ეს არის ქრისტიანული გზა, ეს არ არის კონფრონტაციის გზა, ეს ოპტიმალური კომპრომისის ძიების გზაა და არა შეურიგებელი შეხლა-შემოხლის და გაუთავებელი ბრძოლის გზა, ამ გზას პერსპექტივა არა აქვს არამცთუ ახლო მომავალში, არამედ საერთოდაც. უფრო მძაფრადაც ვიტყვი: ერი, რომელიც კომპრომისს ვერ პოულობს, არც არის თავისუფლების ღირსი, თავისუფლება [...] იქ, სადაც ღირსეული ადამიანები ცხოვრობენ...

**ესაუბრა მარინე დონაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტი

# „ოქროს ტბის“



# პრინცესას არდადეგები

**ალბათ, გახსოვთ, ფოთში წყალსათხილამურო სპორტში 1991 წლის ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი მშვენიერი პრინცესა გაგაცანით „ოქროს ტბიდან“.**

**სასპორტო არდადეგების მიუხედავად, ხათუნა კორკელიამ პირობა არ დაივიწყა და კვლავ გაიხსენა ჩემპიონატის მღელვარე დღეები... გთავაზობთ შეპირებულ ინტერვიუს, ხოლო რაც შეეხება ...აპრის დასასრულს... ჯერ ხომ ყველაზე ლამაზი, ყველაზე მნიშვნელოვანი წყლის ბილიკი წინა აქვს... დასასრული კი ჯერ ძალიან შორია...**

**— ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების წარმომადგენლები კონკურსგარეშე გამოდიოდნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საპრიზო ადგილებზე და მედლებზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. ამ ფაქტორმა რაიმე გადამწყვეტი როლი ხომ არ ითამაშა, ან ხელი ხომ არ შეგიშალა ასპარეზობისას?**

— სპორტსმენებს მთელი წინამოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში გვარწმუნებდნენ, რომ კონკურსში ჩავერთვებოდით ჩვეულებრივ, საქართველოს სახელით. 13 აგვისტოს, ჩემპიონატის დაწყების წინა დღეს კი გამოგვიცხადეს, რომ გართულებები იყო საბჭოთა კავშირის წყალსათხილამურო ფედერაციის მხრიდან და ან საერთოდ უარი უნდა გვეთქვა ასპარეზობაზე, ან კონკურსგარეშე გამოვსულიყავით. ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს, გული გამიტეხა... შემდგომ საგანგებოდ დაწესებული პრიზებისათვის დავიწყეთ ბრძოლა. მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში საქართველოს ნაკრების წარმომადგენლებს შორის საუკეთესო შედეგი მქონდა, აქაც გაუთვალისწინებელმა და ჯერაც გაურკვეველმა გაუგებრობამ იჩინა თავი და საუკეთესო ქართველი სპორტსმენისათვის დაწესებული ავტომანქანა სხვას მიაკუთვნეს... რაც შეეხება ფულად ჯილდოს, დოლარებს, ამაზე კრინტიც კი არავის დაუძრავს... მართალია, სპორტსმენისათვის მთავარი მის მიერ ნაჩვენები შედეგია, მაგრამ, ვფიქრობ, იმას ვერავინ უარყოფს, რომ მედლებსაც და პრიზებსაც ნებისმიერი დონის პირველობაზე სტიმულატორების როლი ენიჭება.

**— კმაყოფილი ხარ თუ არა საკუთარი გამოსვლებით?**

— საერთო ჯამში 1720,8 ქულა მოვაგროვე. ეს ოფიციალურად მე-9 ადგილია. მართალია, მთელი ჩემი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა ვერ შევძელი, მაგრამ ეს არცთუ ცუდი შედეგია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო ხანებში უამრავი ხელისშემშლელი პირობები მქონდა. გარდა ამისა, საგულისხმოა ჩემი მოწინააღმდეგეების დიდი გამოცდილება და ასაკი... მე ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე შემისრულდა 19 წელი... სხვათა შორის, ეს 7 აგვისტო ამ მხრივ ფრიად აღსანიშნავი თარიღი აღმოჩნდა: ის-ის იყო ვარჯიშს ვამთავრებდი, ტრამპლინიდან გადმოხტომისას თხილამურმა მიმტყუნა და ფეხის სერიოზული ტრავმა მივიღე.

**— მოასპარეზეთა შორის უპირატესობას ვის ანიჭებ?**

— ქალთა შორის ავსტრიელ ბრიტა გრებეს. ჩემი აზრით, ბრიტა ძალიან ძლიერი სპორტსმენია, ამასთანავე, საკმაოდ დიდი გამოცდილებაც გააჩნია, ევროპის შარშანდელი ჩემპიონია ტრამპლინიდან ხტომაში. ვაჟთა შორის ჩემი გულწრფელი და უცილობელი სიმპათიები იტალიელმა ანდრე ალესიმ დაიმსახურა.

**— შენი ყველაზე აქტიური გულშემატკივრები?**

— ყველაზე გულმოდგინე გულშემატკივარი მამა იყო, ყველაზე ნერვიული ჩემი ძმა. მთელი ეს ხუთი დღე ადგილს ვერ პოულობდა...

საერთოდ, მთელი საქართველოს და, განსაკუთრებით, ფოთელების თანადგომას ვგრძნობდი ჩემპიონატის მიმდინარეობისას და მინდა ამისათვის დიდი მადლობა გადავუხადო მათ. მიუხედავად ამისა, ჩემდა გასაოცრად, ფინალური ასპარეზობისას ადგილი ჰქონდა არცთუ სასიამოვნო კურიოზს: ჩემი გამოსვლისას რადიოთი გამოაცხადეს, თითქოსდა, ჩემი თხოვნა, რომ მაყურებელს ტაშისა და ემოციებისაგან თავი შეეკავებინათ... არადა, მსგავსი არაფერი მითქვამს, პირიქით...

**— ახლა რას საქმიანობ?**

— ძალიან გადავიღალე. ბუნებრივია, ახლა პატარა შესვენება მაქვს, მინდა კარგად დავისვენო, განვიტვირთო, ბოლოს და ბოლოს, დავუბრუნდე ჩვეულებრივ ყოველდღიურობას.

**— და მაინც, რა იყო შენთვის ეს ჩემპიონატი?**

— გამოცდილება... საჭირო, სასარგებლო გამოცდილება.

კიდევ სიხარული, სიამაყე და, სხვათა შორის, გულისდაწყვეტაც — შეიძლება ცოტა დაუმსახურებელიც...

**— გმადლობთ ინტერვიუსათვის და გისურვებთ ლამაზ დღეებს, ისეთს, როგორიც პრინცესას შეშვენის...**

ესაუბრა

**ირმა ბუბუშვილი,**

**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.**

კომერციული ფირმა დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს სთავაზობს იმპორტული წარმოების სათამაშო აპარატებს (მათ შორის „პოკერს“) — ანგარიშსწორება შესაძლებელია როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით.

ცნობებისათვის დარეკეთ: ტ. 95-05-80, 98-92-13, 18-00-21-00.

# განცხადება

რესპუბლიკის სოფლის სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით და იმის გათვალისწინებით, რომ 1991 წლის მისაღებ გამოცდებზე აუთვისებელი დარჩა ვაკანტური ადგილები, რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ა. წ. 10 სექტემბრის №408 ბრძანების საფუძველზე, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი აცხადებს მიღებას, გასაუბრების წესით, დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: **1. შრომის, 2. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის, 3. დაწყებითი განათლებისა პედაგოგიკისა და მეთოდიკის.**

საბუთების შემოტანის უფლება ეძლევათ საქართველოს რესპუბლიკის ამბროლაურის, ახალქალაქის, ახალციხის, ასპინძის, ნინოწმინდის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, მარნეულის, ონის, საჩხერის, წალკის, ცაგერის, ქედის, შუახევის, ხულოს რაიონებს და ჰიათურის ზონის სოფლების ქართული სკოლების იმ მასწავლებლებს, რომელთაც არა აქვთ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება და აქვთ შესაბამის სპეციალობათა შესატყვისი მუშაობის არანაკლებ ერთი წლის სტაჟი.

გასაუბრება ჩატარდება ორ საგანში ხუთბალიანი სისტემით. პირველ ჩასათვლელ საგანში არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღებისას აბიტურიენტი მეორე გასაუბრებაზე არ დაიშვება. ერთნაირი ქულების დაგროვების შემთხვევაში პირველ რიგში ჩარიცხვის უფლებით ისარგებლებენ ის აბიტურიენტები, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის უფრო ხანგრძლივი სტაჟი.

უმაღლეს სასწავლებლებში 1991 წლის მიღების წესებით გათვალისწინებული საბუთების გარდა გასაუბრების წესით ჩარიცხვისათვის აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ განათლების საქალაქო ან რაიონული განყოფილებების მიერ გაცემული შუამდგომლობები.

საბუთების მიღება იწარმოებს ამა წლის 20-26 სექტემბერს.

გასაუბრება ჩატარდება 28-29 სექტემბერს სპეციალობების მიხედვით შემდეგ საგნებში:

**1. შრომით სპეციალობაში — მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა;**

**2. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სპეციალობაში — ქართული ენა და ლიტერატურა, ბიოლოგია.**

**3. დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობაში — ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა.**

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ინსტიტუტის რექტორატს.

**თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 32.**

სამშენებლო სამონტაჟო მრავალდარგოვანი მცირე საწარმო „ვექტორს“ სარეალიზაციოდ გააჩნია შემდეგი სახის მოწყობილობა-დანადგარები, მანქანები.

1. ავტომანქანების გაზის გასამართი მოწყობილობა (ვოლგა, ჟიგული, მოსკვიჩი) (Газоапаратура легковой)
2. საბურღი აგრეგატი — Сбу-100
3. საბურღი აგრეგატი — укс-22
4. საბურღი მოწყობილობები
5. ავტომანქანა ზილ-131
6. ხის დასამუშავებელი მინი-დანადგარი (20 ოპერაცია)
7. ელექტრო-კომპრესორი
8. ბიტუმის საქაჩი ნასოსი
9. წყლის საქაჩი ტუმბოები
10. ვიბრატორები
11. ავტომანქანა „მოსკვიჩი 412“

ზემოხსენებული პროდუქციის შეძენა შეგიძლიათ როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით.

ცნობებისათვის მიმართეთ: ქ. ზუგდიდი, ნიკოლაძის ქ. № 47.

ტელეფონი: 2-32-76.

## საერთაშორისო ცხოვრება

**(დასასრული)**

საფრანგეთმა კი დამოუკიდებელ ლიტვის მთავრობას გადასცა 2,5 ტონა ოქრო, რომელიც იქ ინახება 30-იანი წლებიდან. ბალტფაქსის სააგენტოს ცნობით, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ლიტვამ დაახლოებით 10 ტონა ოქრო შესანახად მიაბარა ხუთ ქვეყანას, მათ შორის აშშ-ს, შვეციას და შვეიცარიას. ის მარაგი, რომელიც ლონდონში ინახებოდა, გაიყიდა ბრიტანელი მოქალაქეებისათვის საბ...ბის გადასახდელად.

●

გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ არსებობს სასურსათო პროდუქტების უკმარისობის და, აქედან გამომდინარე, შიმშილის რეალური საფრთხე ამ ზამთარს საბჭოთა კავშირში, რომელმაც უკვე მიმართა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას 7 მილიარდი დოლარის სასურსათო დახმარების თხოვნით;

პრეზიდენტ გორბაჩოვის სპეციალური წარმომადგენელი ე. პრიმაკოვი კი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობს, რათა მიაღწიოს ამ ქვეყნების, კერძოდ კი საუდის არაბეთის, ეგვიპტის, ქუვეითის, არაბთა გაერთიანებული საამიროებისა და თურქეთის მიერ საბჭოთა კავშირისათვის ეკონომიკური დახმარების გაწევას.

●

საბჭოთა კავშირის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ გორბაჩოვის პოლიტიკური კარიერა დამოკიდებული იქნება საბჭოთა კავშირში მოვლენების შემდგომ განვითარებაზე; მოსკოვში აშშ-ს სახელმწიფო მდივან ჯ. ბეიკერთან შეხვედრის დაწყებამდე ჟურნალისტებთან საუბარში მან თქვა, რომ გორბაჩოვს ამჟამად ფართო უფლებამოსილებანი აქვს, თუმცა არავინ იცის, რა მოხდება მომავალში. მისი აზრით, ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ შეთანხმდებიან რესპუბლიკები ცენტრთან.

●

იუგოსლავიის ფედერალურმა პრეზიდენტმა ს. მესიჩმა განაცხადა, რომ ის შეეცდება მიაღწიოს უცხოეთის სახელმწიფოთა სამხედრო ჩარევას, რათა აღადგინოს კონტროლი ფედერალურ არმიაზე, თუკი არმია უარს იტყვის დააბრუნოს ჯარები ყაზარმებში. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ არმიამ უარი თქვა ამ ბრძანების შესრულებაზე. ხორვატიაში გრძელდება სისხლისმღვრელი ომი ხორვატებსა და სერბ ნაციონალისტებს შორის, რომელთაც მხარს უჭერს ფედერალური არმია.

**ირინა თევდორაშვილი**



„ნეზავისიმაია გაზეტა“, № 105.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მამული. ენა. სარწმუნოება



# ეკლესიის ავტოკეფალურობა პოლიტიკური დამოუკიდებლობის ნიშანიცაა...

უნდა ვაღიარო, რომ ძალზედ არ მიყვარს საზოგადოებასთან საგაზეთო სტატიებით ურთიერთობა, რადგან გაზეთის სპეციფიკა საშუალებას არ იძლევა, რომელიმე პრობლემის ღრმა ანალიზისა, რომელიც საზოგადოებას საშუალებას მისცემდა დაენახა ავტორის პოზიცია. მიუხედავად ამისა, მაინც შევეცდები ჩემი აზრი მოგაწოდოთ დღეისათვის აქტუალურ ზოგიერთ საკითხზე.

საქართველოში დღეს ეკლესიას გააჩნია იურიდიული სტატუსი — იგი არის სრულიად საქართველოს სახელმწიფოებრივი რელიგიის გამომხატველი, მაგრამ პოლიტიკური სტატუსი საქართველოს ეკლესიას არ გააჩნია, რადგანაც იგი არ მონაწილეობს სახელმწიფოს მართვის არც ერთ სტრუქტურაში. და ეს იმ დროს, როდესაც საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესიაც შედის მსოფლიოს 16 ავტოკეფალურ ეკლესიათა რიცხვში და მის სტატუსს, როგორც იბერიის ეკლესიისას, აღიარებს ყველა კონფესიური გაერთიანება, რითაც ისინი ფაქტობრივად აღიარებენ იბერიის სახელმწიფოებრივ სტატუსსაც, და დღეს, როცა ასე აუცილებელია ჩვენი სახელმწიფოებრივი აღიარება, განა შეიძლებოდა ამ ფაქტის იგნორირება?!. სამწუხაროდ, ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ეროვნული პოლიტიკა და რელიგია ისევ ცალ-ცალკეა. და, ვინაიდან ქრისტეს აქვს ორი საწყისი — ხორცი და სული, ქართველი ერის პოლიტიკა და რელიგიაც ერთ მთლიან სტრუქტურად უნდა გავიაზროთ, ისევე, როგორც ყოფილა დასაბამიდან.

ის მოვლენები, რომელიც დემოკრატიზაციის ნიშნით დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე „პერესტროიკისაგან" გამოწვეული ნგრევა იმპერიისა. გაცილებით უფრო ღრმა, ვიდრე რომელიმე რევოლუციური აქტი. რასაკვირველია, საქართველო ვერ დარჩება ამ ამბების მიღმა, რადგანაც იგი განუყოფელი ნაწილია სამყაროსა. დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს მსოფლიო „ტყავს იცვლის". ამიტომაც ჩვენი ეროვნული პოლიტიკა და დიპლომატია ამ მიმართებით უნდა წარიმართოს და არა ლოკალური რევოლუციის ნიშნით.

ხშირად ამბობენ: ჩვენთან არს ღმერთიო! თუ ეს ფაქტის კონსტატაციაა, რასაკვირველია, ღმერთი არ გასწირავს კაცს, წუთისოფლისგან განწირულს. თუ ეს სურვილია, როგორ შეგვიძლია კაცს ამაზე ვედაოთ; მაგრამ სავალალო ის არის, რომ ეს საოცარი განცდა უფალთან თანაარსებობისა, მისი მეუფებისა კაცთა ზედა, იგულისხმება და თან სდევს ჩვენს პოლიტიკურ სულისკვეთებას. საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და სულიერი მდგომარეობა კი ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა, თუმცა კი ნათქვამია: ოპტიმისტები ბრიუციანები იბადებიანო...

მახსენდება ისტორიული ფაქტი, როცა იერუსალიმში რომაელებმა პირველი ტაძარი დაუწვეს ებრაელებს, ებრაელი მაშინათვე მიწაზე დაემხო და ზეცას შემღაღადა: რატომ დამიტევე უფალო. გონიერმა კაცმა მაშინვე დაუწყო ძებნა იმ მიზეზებს, რამაც გამოიწვია ეს ტრაგედია.

სამაჩაბლოს, აფხაზეთის, რაჭის, სამხრეთ საქართველოს პატრონისათვის (თუ ამას დაურთავთ ეკონომიკურ სილატაკესაც, პოლიტიკურ გაურკვევლობას და რელიგიურ სიბეცესაც), იმ პოსტულატს, რომ „ჩვენთან არს ღმერთი", ოპტიმისტური შეფერილობა აღბათ აღარ ექნება. რასაკვირველია, ჩვენთან არს ღმერთი და ყოველივეს აღგვავსებს მადლითა თვისითა, მაგრამ ჩვენ რა, ქართველებო?! იგი გვირეკდა და ჩვენ არ გავუღეთ კარი სულისა. იგი გვეძახდა და ჩვენ არ გავაღეთ კარიბჭენი გონიერებისა, ანუ აღსრულდა წინასწარმეტყველება: თვალნი გვასხდეს და ვერასა ვხედავთ, ყურნი გვაბია და არ გვესმის ძახილი... ამიტომაც ასეთი აჩემება იმისა, რომ ჩვენთან არს ღმერთი, არის ხავილი უსახოდ დარჩენილი კაცისა ან პოლიტიკური ბლეფი ხალხთა განუვითარებელი ნაწილის მოსატყუებლად.

რამ გამოიწვია ეს?

არცოდნამ! წიგნს ერთი ცუდი თვისება აქვს, ცარიელ თავს მალე ავსებს. ამიტომ, ვინც კი ერთი-ორი წიგნი წაიკითხა, თავს უფლებას აძლევს, ილაპარაკოს ყველაფერზე. თანაც „დემოკრატიის" პირობებში ამის დიდი საშუალება გაჩნდა, ბალღი — მხცოვანს, უვიცი — ნასწავლს, უნიჭო — ნიჭიერს ასწავლის ყველაფერს.

ბოლო ხანებში პატრიოტიზმის სწავლებაც დაიწყეს. ასეთი რამ მსოფლიოს აზროვნებას არ გაუგია. მოკლედ, ის მდგომარეობაა, შექსპირი რომ იტყვის: „და ბრძნად გიჩვენებს თავს რეგვენი გამობრძმედილი"...

ასეთი რამ მოხდა რელიგიაშიც. რელიგიაზე მრავალი აზრი არსებობს საქართველოში. მწიგნობარნი თვლიან, რომ ეს შესანიშნავი ლიტერატურაა; ერთი ნაწილი ვერ გარკვეულა რელიგიური „ბუმის" არსში და იმიტომ, რომ ვინმემ რამე არ დასწამოს, გაოგნებული იწერს პირჯვარს, ბევრმა მგლის ქურქი მოციქულის ქიტონით შეიცვალა და ქადაგებს. იმას ამბობს, რაც პირზე მოადგება. და რადგან არავინ არაფერი არ იცის, დუმს ერი და ისმენს ხან — მკრეხელობას, ხან — უნიჭობას.

რა არის რელიგია, ან რა არის ქრისტიანის ვალი?

ეს კითხვა კვლევის საგანია და იგი თავის მასშტაბის გამო დღევანდელ საუბარში ვერ ჩაეტევა. მხოლოდ ის შემიძლია მოგახსენოთ, რომ დღეს პოპულარობით სარგებლობს სენტენცია: „ღმერთი არს სიყვარული!" ეს ჩვენი ერისაგან დავიწყებული ფრაზა სიცოცხლეს უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დაუბრუნა. როგორც მოძღვარმა და ბრძენმა ადამიანმა, იცოდა რა ერის სულიერი მდგომარეობა, მანვე შეგვადგმევინა ფეხი ქრისტესკენ მიმავალ პირველ საფეხურზე. ჩვენ კი ველარაფერი განვავითარეთ. ამიტომ მინდა გითხრათ, რომ არსებობს სიყვარულზე მეტი რამ. ესაა მოღვაწეობა მოყვასისათვის, შემოქმედება სამყაროს გასამშვენებლად. რადგან სიყვარულზე აღმოცენებული ქრისტე ატარებს სხვა იპოსტასსაც — იგია გზა, იგია ნათელი და ჭეშმარიტება, იგია ჯვარცმა კაცთა მოდგმის გადასარჩენად. და ეს ყოველი კაცის გზაა, ვიწრო და ძნელად სავალი. ეს ყველაფერი ქრისტიანის საპატიო ხვედრია, რადგან სახედ და ხატად თვისსა შეგვქმნა ჩვენ ღმერთმა.

მე როგორც მღვდელი, გეტყვით: არა ლოცვის სიტყვების თქმაა მთავარი მორწმუნეთათვის, არამედ განცდა, რომელიც მისი თქმის დროს დაეუფლება მას, დაეუფლება მაღალ არსზე ფიქრის ჟამს. აკი სალოცავად მისული ერი უფალთან მიახლების ჟამს იტყვის: „სიბრძნით აღემართენით".

ჩვენ ავიჩემეთ, ემოციური ხალხი ვართო. არ ვიცი, მაგრამ თუ ემოციას სიცხადე და სიბრძნე აკლია, სიბრიყვის ნიშანი უფროა. ემოციურები ვართო და აღარ ვმალავთ ჩვენს სულიერ სილატაკეს, უვიცობას და სითავხედეს. თითქოს ემოციას შეუძლია ყოველივე ამის გაბათილება.

მე კი პირიქით მახსოვს: ქართველ კაცს იმდენი ომი არ მოუგია ხმლით, რამდენიც სიბრძნით, დიპლომატიით, ანუ რეალურად არსებული სიტუაციის ბრძნულად გააზრებით. დღეს იგივე გვმართებს ჩვენც.

საქართველოს რესპუბლიკა, როგორც პოლიტიკური ტერმინი, არაფერს არ ნიშნავს არც მაშინ, როცა რუსეთის შემადგენლობაში ვართ და არც მაშინ, როცა ვამბობთ, რომ არა ვართ. ამიტომ საქართველო უნდა გამოცხადდეს ქრისტიანული აღმსარებლობის რესპუბლიკად. ეს კი ნიშნავს ერის იმ საუკეთესო სახეს, რითაც გვინდა წარვუდგეთ უცხოეთს.

ვისაც რელიგიური განსწავლულობა აკლია, იტყვის: ჩვენში სხვა ერებიც ცხოვრობენ და ასეთი რამ დამატებით შუღლა-შემოხლას გამოიწვევსო. მე ასეთი ხალხი დილეტანტი მგონია პოლიტიკაშიც და და რელიგიაშიც, რადგანაც ქართველთა ისტორიამ რელიგიური ძალადობის არც ერთი ფაქტი არ იცის და ჩვენც ისევ იმ გზას უნდა გავყვეთ, რითაც გვივლია.

ამერიკის პრეზიდენტი ფიცის დროს ბიბლიაზე რომ დებს ხელს, ეს მხოლოდ იმის ნიშანია, რომ ამერიკა ქრისტიანული ქვეყანაა და მიუხედავად იმისა, რომ იუდეველნიც ყოფილან ამ ქვეყნის პრეზიდენტები, მათაც ბიბლიაზე დადეს ფიცი და ეს ნიშნავდა ამერიკისა და მისი ხალხის აღიარებას.

ახლა იმის შესახებ, თუ რას მოგვცემდა საქართველოს ქრისტიანულ სახელმწიფოდ გამოცხადება. მოგვცემდა ერთიან ხატს და ერთ მიზანს, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე რომელიმე პარტიული თვალსაზრისით; რადგან რელიგიური ხატი მარადიული კატეგორიაა, პოლიტიკა კი მხოლოდ იმ ოცნების შესრულების საშუალებაა, რომელსაც ერი რელიგიურ ხატში ხედავს.

ის, რომ დიდ დავით აღმაშენებელს თავისი გამზრდელის — ჭყონდიდელის ერთგულების ფიცი არ ჰქირდებოდა, ცხადია, მაგრამ იგი მაინც დანიშნა მწიგნობართუხუცესად, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჭყონდიდელი ერთ-ერთ ვეზირად იქცა და შესაბამისად — სახელმწიფო აპარატის წევრადაც, და ასრულებდა საქართველოს ხელისუფალის უზენაეს ნებას, რაც საქართველოს ერთიანობის იდეით იყო გვირგვინდადგმული.

მე ვფიქრობ, რომ ამ პირობებში საქართველოს ვიცე-პრეზიდენტის ან სახელმწიფო მდივნის პოსტი უნდა დაიკავოს საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელმა, ისევე, როგორც ეს ხდებოდა საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე.

**მამა როსტომი (ლორთქიფანიძე),**
**წმიდა სამების ეკლესიის დეკანოზი, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი.**

## მამული. ენა. სარწმუნოება

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პრესკონფერენცია



**რესპუბლიკაში** შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებასთან, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მომავალი სესიის დღის წესრიგთან დაკავშირებული საკითხების ფართო სპექტრმა განსაზღვრა პრესკონფერენციის შინაარსი, რომელიც 12 სექტემბერს გამართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებისათვის.

უპასუხა რა კითხვას, რომელიც ეხება საქართველოში დღეს მიმდინარე ამბებს და იმას, თუ რა მხარდაჭერას უწევენ კანონიერად არჩეულ ხელისუფალთ საზღვარგარეთის ქვეყნები, ბატონმა აკაკი ასათიანმა განაცხადა, რომ მას, მაგალითად, საჭიროდ არ მიაჩნია, რომ ვინმე ერეოდეს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო თვითონ გაერკვევა თავის პრობლემებში, რაც უნდა რთული იყოს ისინი.

სხვათა შორის, დაისვა კითხვა, თუ რატომ არ დგას 15 სექტემბრის მომავალი სესიის დღის წესრიგში საკითხი საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ. ამაზე პარლამენტის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ შექმნილ ვითარებაზე იმსჯელებენ უზენაესი საბჭოს 2 სექტემბერს თბილისში მომხდარი ინციდენტის გამომძიებელი კომისიის შექმნის საკითხის განხილვისას. მაგრამ, თუ დეპუტატები გადაწყვეტენ მის ცალკე განხილვას, ასეთი საკითხი შეტანილი იქნება სესიის დღის წესრიგში.

ბუნებრივია, რომ ერთ-ერთი საკითხი, რომელიც აინტერესებს ჟურნალისტებს, ის არის, თუ რატომ არ იბეჭდება საქართველოში ზოგიერთი ცენტრალური გაზეთი. ახსნა რა მიზეზი, ბატონმა ასათიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ცენტრალური გაზეთები, როგორც ასეთი, უკვე აღარ არსებობს. ახლა ეს არის სხვა, ხშირად საქართველოსადმი არაკეთილმოსურნედ, ის კი არა და, მტრულად განწყობილი სახელმწიფოს გაზეთები, და ამიტომ ასეთ გამოცემებზე მოთხოვნილება არ არის. ამავე დროს მან შენიშნა, რომ იმას, ვინც მოისურვებს, შეუძლია გამოიწეროს როგორც ეს, ისე ნებისმიერი სხვა გაზეთები და მიიღებს მათ უშუალოდ იმ ქალაქებიდან, სადაც ისინი გამოიცემა. ხოლო რაც შეეხება იმ აბონენტებისათვის კომპენსაციას, რომლებმაც წინათ გამოიწერეს ეს გაზეთები, იგი მიეცემათ.

იმაზე, თუ რით არის გამოწვეული სესიის დღის წესრიგში მიტინგების, დემონსტრაციებისა და პოლიტიკური ხასიათის სხვა აქციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის შესახებ საკითხების შეტანა, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ამის თაობაზე კანონის პროექტი ჯერ კიდევ ორი თვის წინათ განიხილეს შესაბამის კომისიებში. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ არ განხილულა სესიაზე, რადგან გვიხდებოდა მიგველო უფრო გადაუდებელი საკანონმდებლო აქტები, უმთავრესად — ეკონომიკური ხასიათისა. ილაპარაკა რა კანონპროექტზე, რომელიც მზადდება, მან აღნიშნა მისი დემოკრატიულობა, ამ დღეებში პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ გამოქვეყნებული კანონისადმი იდენტურობა, რომელიც, როგორც მან შენიშნა, შეიძლება მთლად იდეალური არ არის, მაგრამ ფრიად დემოკრატიულია.

მრავალი კითხვა ეხებოდა სახელმწიფო ხელისუფლების კანონიერად არჩეული ორგანოებისა და ოპოზიციის ურთიერთობას, აგრეთვე საქართველოში პრეზიდენტობის ინსტიტუტს. უპასუხა რა ამ კითხვებს, ბატონმა ასათიანმა, კერძოდ, თქვა, რომ ამ ეტაპზე, როცა საქართველო სრული დამოუკიდებლობის გზას ადგას, ასეთი ინსტიტუტი აუცილებელია, და ქართველმა ხალხმა უდიდესი უმრავლესობით მხარი დაუჭირა ამას, ისევე როგორც პრეზიდენტის პოსტის ერთადერთ ღირსეულ კანდიდატს. ზვიად გამსახურდიას კი არ სჭირდებოდა პრეზიდენტობა, ხაზგასმით აღნიშნა მან, არამედ ამ პოსტზე საჭირო იყო სწორედ ზვიად გამსახურდია. და მე დარწმუნებული ვარ, რომ მთელი თავისი ვადის მანძილზე იგი ყოველთვის გაამართლებს ხალხის დიდ ნდობას, რომელმაც იგი აირჩია.

**სურათზე:** პრეს-კონფერენციის დროს.

**ბონდო დვალიშვილის ფოტო**
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).


## თბილისის უნივერსალური ბირჟა

**წარმატება ახალ წარმატებას გვპირდება**

20 სექტემბერს და ყოველ მომდევნო ოთხშაბათს რეგულარულად ჩატარდება ვაჭრობა თბილისის უნივერსალურ ბირჟაზე. თქვენ შეგიძლიათ მაქსიმალური მოგებით შეიძინოთ და გაყიდოთ ნებისმიერი საქონელი.

ვაჭრობაში მონაწილეობა შეიძლება მხოლოდ თბილისის უნივერსალური ბირჟის საბროკერო ფირმების მეშვეობით.

ცნობებისათვის მოგვმართეთ:

380019, ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი 118.

საქართველოს სამეცნიერო და კომერციული გამოფენების ერთიანი ცენტრი, პავილიონი № 5, თბილისის უნივერსალური ბირჟა, ტელ. 35-14-69, 35-44-21.

თბილისის უნივერსალური ბირჟა — თქვენი იღბალია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალორძინება არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება" და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო".

## „სალბუნი"

**გიწვევთ სამკურნალოდ, გჯეროდეთ გამოჯანმრთელდეით.**

საქართველოს ხალხური მედიცინის ასოციაციასთან შემავალი სამკურნალო კაბინეტი „სალბუნი" დიდი პოპულარობით სარგებლობს პაციენტებისადმი მკურნალობით. მირიანაშვილის მალამომ მრავალი დავრდომილი ავადმყოფი განკურნა, მისი მალამო გამოირჩევა მაღალი ეფექტურობით, რომელიც მზადდება ბალახებზე. თვით მირიანაშვილი მკურნალობს შემდეგ დაავადებებს: ტროფიულ წყლულს, დამწვრობას, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს, ეროზიას, მარტიტებს, ბუასილს, წითელ ქარს, გაიმორიტს, ქალურ დაავადებას, ჩირქოვან ჭრილობებს.

მალამო აჩერებს თმის ცვენას და ამოყავს კიდეც.

ბალახის ნაყენით იკურნება ენურეზი, უნებლიე შარდვა ბავშვებში, იწმინდება მარილებისაგან ღვიძლი, ნაღველი, თირკმელები, საშარდე გზები, ნაწლავები. (თან იქონიეთ ჭურჭელი.)

მისამართი: ქ. თბილისი. ლავით აღმაშენებლის 95-ში. სპორტ-კომპლექსი „განთიადი".

მიღება ყოველდღე 9 საათიდან 18 საათამდე. დასვენების დღე კვირა.

## ყურადღება

ასოციაცია „ამაღლება" რომლის მიზანია ეროვნულ-ზნეობრივი იდეალების, წეს-ჩვეულებების, ეროვნული ტრადიციების აღორძინება-განვითარება, ქველმოქმედებითი საქმიანობა — იწვევს მოქალაქეებს გასაწევრიანებლად, რაიონში მცხოვრებლებს შესაძლებლობა აქვთ შექმნან ასოციაციის ფილიალები.

ასოციაცია „ამაღლების" კომერციული ცენტრი სათანამშრომლოდ იწვევს კომერციული საქმიანობით დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს.

ჩვენი მისამართია: ფალიაშვილის ქ. №57. სამშაბათი და ხუთშაბათი 17 საათიდან.

## განცხადება

მიმდინარეობს მიღება ქ. თბილისის გლდანის რაიონის № 12 სახლმართველობასთან არსებულ მსუბუქი ავტომანქანების მძღოლთა მოსამზადებელ კურსებზე (კურსდამთავრებულები მიიღებენ მძღოლის საერთაშორისო მოწმობას).

პირველ რიგში ჩაირიცხებიან და შემცირებულ გადასახადს გადაიხდიან ის პირები, რომლებმაც იციან ავტომანქანის პრაქტიკული მართვა.

საბუთების შემოტანა და განმარტებისათვის ტელეფონზე დარეკვა შეიძლება ყოველ დღე, გარდა უქმე დღეებისა, საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

**მისამართი: ქ. თბილისი, გლდანის მე-3 მიკრო რაიონი, კორპუსი 74-ა.**

**ტელეფონი: 68-39-30.**

## საბროკერო ფირმა „იკორთა"

გთავაზობთ მომსახურებას ყიდვა-გაყიდვის საქმიანი გარიგებების დადებაში

### თბილისის უნივერსალურ ბირჟაზე

თუკი თქვენი წარმოება-ორგანიზაცია ეძებს მასალების ბაზრებს, ნედლეულის შეძენის შესაძლებლობებს, სურს გაყიდოს, ან იყიდოს პროდუქცია დიდი პარტიებით და ხელსაყრელ ფასებში, იმოქმედეთ ჩვენი ფირმის მეშვეობით.

**საშენი მასალები, საწვავი, ლითონი და ლითონის ნაწარმი, ხე-ტყე, ქაღალდი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ელექტრო-საქონელი, ტექნოლოგიური ხაზები, სხვადასხვა დანადგარები, მინი ქარხნები, ტრანსპორტი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი და ა.შ. — ჩვენ დაგეხმარებით ყოველივეს ყიდვა-გაყიდვაში.**

ტელეფონი ცნობებისათვის: 38-01-25.

## მცირე საწარმოს შექმნის მსურველთა საყურადღებოდ!

**საინფორმაციო-საკონსულტაციო ფირმა „კოლხა-კონსულტი" უმოკლეს ვადაში შეიმუშავებს თქვენთვის კერძო (საოჯახო), კოოპერატიული, საიჯარო, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების და სხვა ფორმის მცირე საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტაციას და დაიცავს თქვენს ინტერესებს საწარმოს მარეგისტრირებელ სახელმწიფო ორგანოებში.**

**ჩვენი მისამართია: 380007, თბილისი, ლერმონტოვის 18, IV სართული, საინფორმაციო-საკონსულტაციო ფირმა „კოლხა-კონსულტი".**

**ტელ: 99-02-76, 93-99-70 12 საათიდან 17 საათამდე.**

## აბიტურიენტთა საყურადღებოდ

ვამზადებ აბიტურიენტებს ფიზიკაში.

აბიტურიენტებთან მუშაობის დიდი გამოცდილება, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებში მუშაობის საკმაო პრაქტიკა, მოსალოდნელი ტიპიური შეცდომების ანალიზი, კარგი გარანტიაა აბიტურიენტთა მაღალ დონეზე მოსამზადებლად.

ჩაჭრილ აბიტურიენტს მთლიანად დაუბრუნდება გადახდილი თანხა.

აბიტურიენტი, რომელიც ფიზიკაში მიიღებს ფრიადს (9-10 ბალი), ჯილდოს სახით დაუბრუნდებათ გადახდილი თანხის 30%.

მეცადინეობა დაიწყება 7 ოქტომბრიდან.

მისამართი: საბურთალოს 4632, ბინა 28, ტელ. 38-89-38.

სასურველია დარეკოთ ან მობრძანდეთ 17სთ-ის შემდეგ.

## ყურადღება

საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება" და ფირმა „ჰუჯაბი", მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, იწყებს ლისის ტბის ტურისტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, გთხოვთ მოგვაწოდოთ წერილობით თქვენი აზრი, როგორი გსურთ იხილოთ ლისის ტბის დასვენების ზონა.

ჩვენი მისამართია: 380060 თბილისი ბუდაპეშტის №1.

საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება", ფირმა „ჰუჯაბი".

## იყიდება

„იკარუს 250-56" მარკის ავტობუსი.

ცნობებისათვის დარეკეთ

ტელ: 38-54-73

28-14-86

---

იყიდება ღვეზელის საცხობი აპარატი 2 ცალი და ბლითების აპარატი 1 ცალი.

ტელ: 37-52-12.

## იყიდება

კერძო სახლი, დუშეთის რ-ნის სოფ. ანანურში.

ტელ: 67-63-76.

იკითხეთ ჯუანშერი.

---

წარმატებით აგრძელებს მუშაობას კოოპერატივი „მკურნალი", რომელიც მთელი ზაფხულის განმავლობაში და ამჟამადაც დაუღალავი ენერგიით ეწევა ავადმყოფთა გამოკვლევას და მკურნალობას.

კოოპერატივში მიმდინარეობს თანამედროვე გამოკვლევები, კეთდება კლინიკო-ბიოქიმიური ანალიზები. ტარდება რენტგანოსკოპია, რენტგენოგრაფია, გასტროსკოპია, შინაგანი ორგანოების ექოსკოპია. აქ მომუშავე სახელგანთქმულ პროფესორთა გვერდით მუშაობს გამოცდილი და სახელმოხვეჭილი ექსტრასენსი ინა კარახანი. მის ჯადოსნურ ხელებს შეუძლია განკურნოს შემდეგი დაავადებები: ნევროზები, ოსტეოქონდროზი, მარილების დაგროვება, თავის ტკივილები, თავბრუსხვევა, თავის ქალის შიდა წნევის მომატება, კოლიტი, ქოლეცისტიტი, ართროზი, ართრიტი. განსაკუთრებით კარგი შედეგია ღამით შარდის შეუკავებლობაზე, როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. ასევე კარგი შედეგია ლოგონევროზზე (ენაბლუობა).

წარმატებით განაგრძობს მუშაობას ირიდოდიაგნოსტიკის კაბინეტი, სადაც თვალის ფერადი გარსის მიკროსკოპული დათვალიერებით ხდება შინაგანი ორგანოების დაავადებათა დიაგნოსტიკა.

ყოველ დღე მოდის წერილები მადლიერი პაციენტებისაგან. ასევე პაციენტებისაგან, რომლებიც ითხოვენ დახმარებას. ჩვენ რა თქმა უნდა ვცდილობთ უარი არ ვუთხრათ და მოსულ პაციენტს იმავე დღეს აღმოვუჩინოთ დახმარება. ძალიან ბევრი ავადმყოფი მოდის საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, არა მარტო იმიტომ, რომ ძალიან კარგი სპეციალისტები გვყავს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენთან მოსვლა ძალზე ადვილია.

**ჩვენი მისამართია: წინანდლის ქ.9, მეტრო „300 არაგველი", ქალაქის I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე. ტელ. 74-47-75.**

**მიღების საათები ყოველ დღე $15^{30}$-დან $19^{00}$-მდე. შაბათს $10^{00}$-დან $13^{00}$-მდე. კვირა დასვენების დღე.**

---

ვყიდი **„უაზ-469"** მარკის ავტომობილს ან გავცვლი **„ვაზ-2107"** ავტომობილზე.

მსურველებმა დარეკეთ ტელეფონით 23-24-92.

---

მსურს მივიღო ბეჭდვის რამდენიმე ფასიანი გაკვეთილი.

გთხოვთ დარეკოთ ტელეფონზე 39-49-84.

## იყიდება

საბჭოური პიანინო **„ბელორუსი"**.

ტელეფონი: **96-37-54.**

იკითხეთ ბელა.

---

**ვაკის რაიონში, კავსაძის ქ.№9-ში გახსნილია ვიდეოთეკა, სადაც შეგიძლიათ შეარჩიოთ მსოფლიოს კინოს საუკეთესო შედევრები, მათ შორის ფესტივალებზე გამარჯვებული ფილმები, როგორიცაა: კევინ კოსტნერის „ცეკვა მგლებთან ერთად", მ.სკორსეზეს „მაგარი ბიჭები", ფ.კოპოლას „ნათლიმამა-3" და სხვა. ვიდეოთეკა მუშაობს ყოველდღე 12სთ-დან 23სთ-მდე.**

---

**მსურს ვიქირავო 2 ოთახიანი კეთილმოწყობილი, იზოლირებული ბინა ტელეფონით.**

**ტელ: 37-06-64**

**37-58-25**

**დარეკეთ შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 17 საათამდე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხუმრობით და სერიოზულად

რა არის გაზეთი?

ერთ-ერთი საინფორმაციო საშუალება, რომელიც ქმნის და წარმართავს საზოგადოებრივ აზრს. ეს არაზუსტი თეორიული ფორმულირება... ერთი სულით ავადმყოფის ჩანაწერებში ეს ეწერა: გაზეთი ჰგავს მეძავ ქალს - ერთხელ იხმარ და გადააგდებო.

ამბობენ, ამგვარ ავადმყოფებს ლოგიკა აქვთ დარღვეული, ხოლო ამ შემთხვევაში ინსტიქტი ლოგიკაზე მართალი აღმოჩნდა.

დაგვხურეს.

ხანდახან უგუნებოდ რომ გაიღვიძებ ერთ მშვენიერ დილას, რას არ მოიფიქრებ ადამიანი. ყოველ ჩვენგანს განგვიცდია ალბათ ამგვარი დილა, არა?!

და 4 სექტემბერს „ახალგაზრდა ივერიელის" თანამშრომლები დახურულ სამსახურში გამოვცხადდით.

კარი არ იყო დაკეტილი, დაცვამაც ჩვეულებრივად ღიმილით გაგვატარა.

სხვა ჩემი თანამშრომლები იქნებ ყოველ დღე გრძნობდნენ, რომ თავისი გაზეთი უყვარდათ, მე კი პირველად იმ დღეს მივხვდი.

დღეები გადიოდა. (მერე როგორი დღეები), ჩვენ არ ვარსებობდით.

რუსუდან ლებანიძე: იმ დღეებში ხუმრობით და თუნდაც ნახევრადხუმრობით ლაპარაკი, მომკალი და, არ შემიძლია. ვიცი, თითოეული ჩემი კოლეგის ხუმრობის იქითაც გამოჩნდება მაშინ განცდილ-გადატანილი. ერთს კი უთუოდ ვიტყვი: ჩვენ დიდ განსაცდელს გავუძელით - სამუდამოდ ჰანჰიკებად დარჩენის განსაცდელს. მეამაყება, რომ „ახალგაზრდა ივერიელის" კოლექტივის ძირითადმა ბირთვმა, სწორედ იმათ, ვინც დღეს ამ გაზეთის სახეს ქმნის, გაზეთიც შეინარჩუნა და საკუთარი პიროვნული და პროფესიული ღირსებაც.

ნახევრად სერიოზულად კი იმას დავძენდი, რომ იმ დღეებში „ახალგაზრდა ივერიელის" კოლექტივმა დიდი „ზარალი" მიაყენა თბილისის თითქმის ყველა და განსაკუთრებით ჩვენს გამომცემლობაში ახლახან გახსნილ აფთიაქს - მათი დახლებიდან თითქმის უკვალოდ გააქრო საგულე თუ ტკივილგამაჩუყებელი საშუალება.

ირმა ჯოხაძე: იმ საღამოს „მოამბეს" არ ვუსმენდი, მეტად სერიოზული საქმით ვიყავი დაკავებული, შაბათის ნომრისთვის დიდი ხნის შესვენების შემდეგ პირველად ვწერდი წერილს. მაგრამ თურმე რისთვის და რატომ - ჩემი საყვარელი გაზეთი აღარასოდეს გამოვა...

ოდითგან ასეთი ყოფილა რაჭველის ბედი. ცოტა ადრე უნდა მოიფიქრო წერილის დაწერა და გაზეთის დახურვამდე იქნებ მოასწრო მისი დაბეჭდვა.

მაია თუნგია: რას განვიცდიდი იმ დღეებში? მეგონა, სიზმარში ხდებოდა ყველაფერი. არ მჯეროდა, რომ გაზეთი, რომელთანაც ბავშვობის დროინდელი, რაღაც განსაკუთრებული სიყვარული მაკავშირებდა, სამუდამოდ ჩაბარდა ჟურნალისტიკის ისტორიას. ეს უახლოესი ადამიანის გარდაცვალებას ჰგავდა.. ამიტომაც მიჭირს საკუთარ განცდებზე ხმამაღლა საუბარი. როცა მისი „მკვდრეთით აღდგომის" ამბავი შევიტყვე, დიდად არ გამკვირვებია - უბრალოდ, სიზმარი დასრულდა.

ნინო კვაჭანტირაძე: მეხის გავარდნას ჰგავდა „ახალგაზრდა ივერიელი" დაიხურაო, ანუ გარდაიცვალაო. „გარდაცვლილს" პატრონი და ჭირისუფალი სჭირდებოდა.

რედაქციაში, პასუხისმგებელი მდივნის ოთახში, დიდ მაგიდაზე, სადაც წლების მანძილზე შედევრები იქმნებოდა, დავასვენეთ „ახალგაზრდა ივერიელის" უკანასკნელი ნომერი. სამუშაო ოთახებიდან ტაატით წამოვიღეთ ქოთნის ყვავილები, წლობით რომ გვახალისებდნენ და გუნება—განწყობილებას გვიკეთებდნენ. პროცესიამ გულდათუთქულ ვითარებაში ჩაიარა, მაგრამ „გარდაცვლილს" კლინიკური სიკვდილი აღმოაჩნდა და „მესაფლავეებიც" გაწბილებულები დარჩნენ. ეს ხუმრობით და უკვე 4 სექტემბერს საქართველოს ტელერადიოდეპარტამენტში მისული მილიციელმა მთელი სერიოზულობით არ შემიშვა. როცა ჩემი „ივერიელის" საშვი წარვადგინე, მიპასუხა, თქვენ აღარ არსებობთ, გენაცვალე... უძლური ვიყავი, რომ ვერ გაჭრა მტკიცებამ მე ხომ ვარსებობ—მეთქი ბატონო... ალბათ, მართალიც იყო ბატონი მილიციელი, მე „უივერიელოდ" მართლა არ ვარსებობდი, თურმე.

გია ტუხაშვილი: სამსახურში, საერთოდ, გვიანობამდე მიწევს ხოლმე შემორჩენა და იმ დღესაც, 3 სექტემბერს, რედაქციის თანამშრომლებიდან პირველმა შევიტყვე ჩვენი გაზეთის დახურვის ამბავი. დაბნეულობამ რომ გამიარა, ჩვენი რედაქტორის ნერვების გაფრთხილებას შევეცადე - ვიფიქრე, რაღა „მოამბიდან" გაიგოს თავისი გაზეთის დახურვის ამბავი, ისევ ჯობდა მე „მეხარებინა" ტელეფონით...

მთელი ის დღეები მეგობრები მამხნევებდნენ და თან მახსენებდნენ, რომ სახლში კიდევ ორი დიპლომი მქონდა, თანაც ორივე საინტერესო სპეციალობით - „მილების ცივად გლინვის დგანის მვალცავი" და „მშენებელი-ინჟინერი", მაგრამ რატომ წავსულიყავი, შესაბამისად, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, ან რომელიმე სამშენებლო ტრესტში, იქაც რომ იგივე განმეორებულიყო? თუმცა „ახალგაზრდა ივერიელიდან" წასვლას არსად ვაპირებდი და, ალბათ, სიმბოლურიც იყო, რომ ოთხშაბათს, 11 სექტემბერს, როცა კვლავ გვიანობამდე შემოვრჩი რედაქციაში, „ახალგაზრდა ივერიელის" აღდგენის

## დღეები უჩვენოდ, ანუ მოწყენილი სახეები დღეს არ იქნება

თაობაზე ბრძანება პირველმა მე წავიკითხე...

რაღა თქმა უნდა, მაშინვე რედაქტორს ვახარე...

გოჩა კაპილაძე: თუ სერიოზულად გნებავთ, კაცი, რომელსაც აქვს ოჯახი და ჰყავს ორი შვილი, ყოველთვიურად უნდა გადაიხადოს ბინის ქირა 300 მანეთი, არავითარი სურსათის მარაგი არ გააჩნია სახლში საზამთროდ, ჯერ არ შეუძენია მაცივარი და ტელევიზორი და კიდევ უამრავი წვრილმანი, რაც ხუმრობითაც და სერიოზულადაც აუცილებელია ცხოვრებისათვის, ადვილი მისახვედრია, თუ რა გუნებაზე დადგებოდა, როცა ნებაყოფლობით უმ-უშევართა სიაში ეწერებოდა, რადგანაც არავითარი სურვილი არ ჰქონდა ერთ დიდ, უშველებელ გაზეთში მუშაობისა.

თუ მართლა სერიოზულად გნებავთ, გაზეთის გამოშვებისას სისტემატურად მიხდება სტამბაში ყოფნა და ვიცი, რომ სუპერ-გაზეთის შექმნა ჩვენს პირველყოფილ პოლიგრაფიულ საწარმოში შეუძლებელია. იმაზეც არავის უფიქრია, რომ სუპერგაზეთისთვის საგაზეთო ქაღალდიც მეტი დაიხარჯებოდა, ვიდრე იმ ოთხი გაზეთისათვის ერთად აღებულის. და რაც, მთავარია, ეს აქტი არ იქნებოდა საქართველოში დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის წინგადადგმული ნაბიჯი.

თუ უფრო სერიოზულად გნებავთ, მე ბედნიერი ვარ, რომ კვლავ არსებობს „ ახალგაზრდა ივერიელი".

გვანჯი მანია: გახსოვთ, ალბათ, იაპონელი მწერლის გმირი - პეპლების მაძიებელი... აწ უკვე დაჭერილი და ქვიშის ორმოში ჩაყუდებული... დაახლოებით ასეთ დღეში აღმოვჩნდი ლაკადის-მთიანი სამეგრელოს ერთ ჩვეულებრივ სოფელში...

კუთვნილი შვებულება მაქვს, გარს საყვარელი ადამიანები მახვევია, მაგრამ რად გინდა - ამბროზიის ყვავილებით შეძენილი ალერგიით ვარ გათანგული...

ამ სოფელში ინფორმაციის საშუალებანი ასე თუ ისე არის, მაგრამ... ჩვენი რადიო და ტელევიზია ერთს ამბობს, მოსკოვი მეორეს, უცხოეთი მესამეს...

აქ კვირაში ერთხელ მაინც მოდის გაზეთი, მაგრამ... ყველა გაზეთი ერთნაირად წერს, გარდა ერთისა...

მაინტერესებდა ორად ორი ამბავი, 2 სექტემბრის მიტინგის დარბევისა და ოთხი ქართული გაზეთის დახურვისა, მაგრამ... თითქმის ორი კვირა ვერაფერი გავიგე, მხოლოდ თბილისში ჩამოსულმა დავადგინე, რაც მოხდა...

ნინო კლარჯეიშვილი: 3 სექტემბერი, საღამოა. „მოამბის" წინ ვზივარ და...ვისვენებ. სოკოლოვმა კბილებში გამოსცრა: „დღეიდან გაუქმებულია გაზეთები... და მათ ბაზაზე..." მერე აღარ მახსოვს...

- ალო.

- ნუ ნურვიულობ - ძლივს ვიცანი ჩემი რედაქტორის (იმ წუთიდან უკვე ყოფილის) ხმა.

- ბატონო მერაბ...

- ნუ ნერვიულობ...

- ვაიმე, ბატონო მერაბ, ვნერვიულობ...

- ნუ ნერვიულობ...

- ვაიმე, ბატონო მერაბ, მაინც რომ ვნერვიულობ?

- ნუ ნერვიულობ, ნინუშკი - როგორც იქნა,მიცნო.

- იცოდით?

- არა.

- როდის გაიგეთ?

- ახლახანს. ნუ ნერვიულობ.

მივხვდი, რომ დიალოგის გაგრძელება აღარ ღირდა და ხვალ სამსახურში ადრე მოვალ—მეთქი, დავპირდი.

მეორე დღეს ყველანი უკლებლივ ისე ადრე გამოვცხადდით სამსახურში, „ივერიელს" დაარსებიდან რომ არ ახსოვს... შევუდექით ოპტიმისტური მოსაზრებების ურთიერთგაზიარებას...

- კი მაგრამ, ამ გაერთიანებულ-გამსხვილებულ-გაგანიერებული გაზეთის რედაქტორი ვინ იქნება?

და ამ საბედისწერო კითხვაზე ჩვენი აჟრიამულებული კოლექტივი ისე გაყუჩდა, ჩემს უჯრაში დაბანაკებული ტარაკანების ფაჩუნი გავიგონე.

- რახან გაზეთებს გააერთიანებენ, ალბათ რედაქტორებსაც გააერთიანებენ - თქვა ყველაზე უფრო ადრე გონმოსულმა.

- და გაუქმებული რედაქტორებიდან გამოიყვანენ ერთი რედაქტორის სელექციურ ჯიშს ... - ეს აღმოჩენა ვისაცეკუთვნის, ვერ გაგიმხელთ, ხომ შეიძლება რომელიმე საწარმომ ან ფაბრიკამ, ან სულაც რომელიმე გამსხვილებულ-გაერთიანებულმა ორგანიზაციამ გადაიბიროს?

- ნეტავ მე რა ორგანო ვიქნები? - მწარედ ჩაფიქრდა ჩვენი რედაქტორი (ყოფილი). ჩვენც ძლიერ დავმწუხრდით, რადგან არაფრით არ გვემეტებოდა ჩვენი რედაქტორი (ყოფილი) დასანაწილებლად, არც ჩვენი თავი ქვეყნის ოთხივ კუთხეში დასაფანტავად...

რა ცუდია, როცა გვანაწილებენ, თანაც არც გვეკითხებიან...

გულნარა ბაშარული: სრულ სასოწარკვეთას განვიცდიდი იმ დღეებში, სასოწარკვეთას იმის გამო, რომ დავკარგე თანამოაზრე კოლეგებთან ურთიერთობის, მათთან ერთად საყვარელი საქმის კეთების საშუალება და, რაც მთავარია, სასოწარკვეთას იმის გამო, რომ აბუჩად აიგდეს, ფეხქვეშ გათელეს ჩემი და ჩემი კოლეგების პიროვნული და პროფესიული ღირსება, არად ჩააგდეს ამ შერისხული გაზეთების ასი ათასობით მკითხველიც.

ნახევრად ხუმრობით კი (მართლა გულიანი ხუმრობის განწყობილება მაშინ არავის გვქონდა) იმას ვფიქრობდი, რა მეშველება, ორი წლის ანუ ორი თვის შვებულება მიუქმდება—მეთქი...

ციალა გოგოჭური: სწორედ ამ დღეებში აღმოვაჩინე, რამდენად კეთილშობილურია ბუღალტრისა და ეკონომისტის შრომა.

- ??

- აბა, მომისმინეთ: „ახალგაზრდა ივერიელის" 200 ათას ხელმომწერს (დამრგვალებულად) წლის ბოლომდე დავაკლებდით გაზეთის 48 ნომერს, რომელშიც მას გადახდილი ჰქონდა 960 000 მანეთი, სტამბას ჩვენი გაზეთის გამოუსვლელობის გამო გამოუვიდოდა 61 032 მანეთის ზარალი, ჩვენივე მიზეზით 180 758 მანეთით იზარალებდა ჟურნალ-გაზეთების გავრცელების ექსპედიცია (კავშირგაბმულობის სამინისტრო), სახელმწიფო ბიუჯეტს დააკლდებოდა ჩვენი გაზეთის სუფთა მოგებიდან 110 332 მანეთი (თუმცა, კარგად არც ვიცი, რომელ ბიუჯეტში მიდის ეს ფული, საიდანაც ჩვენ ნახევარ პროცენტსაც არავინ გვაძლევს...), ხოლო ჩვენი თანამშრომლების პირადი ბიუჯეტი ზარალდებოდა 38 820 მანეთით!

ისე, თუ სახელმწიფო ბიუჯეტში შესული მოგების თანხას (110 332 მანეთი) ჩვენს ხელფასს (38 820 მანეთი) შევადარებთ, კარგად ჩანს, ვინ უფრო მეტად ზარალდებოდა!

ქეთე ტაბიძე: როგორც კი „მოამბეში" გამოცხადდა უზენაესი საბჭოს დადგენილება სხვა გაზეთებთან ერთად ჩვენი გაზეთის გაუქმების შესახებ, მაშინვე ვიგრძენი, რომ „ახალგაზრდა ივერიელი" მაინც აღსდგებოდა ფერფლისაგან, ვითარცა ფენიქსი.

გიგლა გოგეჩია: იცით, სად გავიგე? - მეორე დილით, რედაქციის შემოსასვლელში, დაცვის ბიჭებმა კინაღამ არ გამომატარეს, სად მიდიხარ, ხომ გაგაუქმესო? (ეს ხუმრობით, მაგრამ მე მეხუმრებოდა?) კიდევ კარგი, სახლში ტელევიზორი გაფუჭებული მქონდა, თორემ... (ვაი, ტელევიზორის ბრალი). მერე ოთახში შევედი თუ არა, გაბმული ზარიც გაისმა - დედაჩემი რეკავდა რაიონიდან - ასეთი რა დააშავეთო? რა მეთქვა?

გახსოვთ, ნოდარ დუმბაძის მოთხრობა - „ასტვაც, ინჩუ ჰამარ?" (ღმერთო, რისთვის?)

რას ვგრძნობდი? საოცარ სიცარიელეს და გაოგნებას. იმ დღეებში გამოსული პრესის კანონის იმედიც მქონდა, მაგრამ...

ისე, თუ ეს ჰაიჰარი გადაწყვეტილება საქართველოს სრულ თავისუფლებას შეუწყობდა ხელს, დღესვე შევწირავდით გაზეთს, საყვარელ საქმეს,ყველაფერს, მაგრამ...

მერე დაიწყო სამძიმრების მიღება, მალე ეიფორიამ გადაიარა და გაჩნდა იმედი. დავიწყეთ გაზეთის გაცოცხლებაზე ფიქრი, გამოჩნდნენ კეთილი ასოციაციები, ფირმები, კონცერნები (გულწრფელი მადლობა მათ ამისათვის). თურმე მთლად ტყუილად არ გვიფაფხურია...

მარინე დონაძე: ხუმრობა ხუმრობად იყოს და ნახევრად ხუმრობით 2 სექტემბრის საღამოს მოვიგონებ. მე და რუსიკო ლებანიძე თავქუდმოგლეჯილი გავრბივართ მერაბ კოსტავას სახლისკენ, ტყვიები ჩვენს თავზე ზუზუნებენ და რუსიკო მაწყნარებს - ნუ გეშინია, დონიკო, „ხალასტოი" ტყვიებია, მართლა კი არ გვესვრიანო...

„ახალგაზრდა ივერიელის" დახურვის დღეზე ვერაფრით ვერ ვიხუმრებ. სერიოზულად კი ვიტყვი, რომ ეს დღე არ გავდა არც ერთ სხვა დღეს ჩემს ცხოვრებაში... ეს იყო განცდა, რომელიც საკუთარი სულის ნაწილის დაკარგვას გავდა.

ასე მგონია, რომ მაინც ერთად ყოფნამ გადაგვარჩინა... და კიდევ იმან, რომ „ივერიელებს" სიკვდილი არ უწერიათ.

. . .

რედაქციაში ჟურნალისტები თუ უქმად ვისხედით, ტელეფონები სრული დატვირთვით მუშაობდნენ. გვირეკავდნენ მკითხველები, არამკითხველები,კოლეგები, გულშემატკივრები, ანუ ისინი, ვისაც დავაკლდით.

მარტო რომ დავრჩენილიყავით იმ უჩვენო დღეებში, იქნებ ხმაც ვერ გაგვეცა ერთმანეთისათვის სათქმელის არქონის გამო.

დღეს კი...

ალბათ, ასე „ენთუზირებულად" მონდომებული ჩემი კოლეგები 1921 წელსაც არ ყოფილან (ვგულისხმობ „ახალგაზრდა კომუნისტის" სულ პირველ ნომერს).

ჩვენ ხომ ხელახლა დავიბადეთ.

ახალშობილის სამყოფელს კი მოწყენილი სახეები არ უხდება...

სტუდიაში მუშაობდა
მაია ჭალაგანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორიოდე სიტყვა ჩვენს მკითხველებს

კვლავ განახლდა მცირე ხნით შეწყვეტილი ჩვენი ურთიერთობა. გაჭირვებისას არ მოგვკლებია თქვენი ყურადღება. გვირეკავდით, მოდიოდით რედაქციაში, გვამხნევებდით. დახმარებას გვთავაზობდით, ამისათვის დიდი მადლობა.

მომავალში რომ დაზღვეული ვიყოთ ჩვენც და თქვენც მსგავსი „სიურპრიზებისაგან“, რედაქციის კოლექტივის გადაწყვეტილებაა, დააფუძნოს „ახალგაზრდა ივერიელი“, როგორც სრულიად დამოუკიდებელი, თავისუფალი გაზეთი. ამისათვის გვჭირდება ფართო საზოგადოებრიობის მხარდაჭერა, გვჭირდება სპონსორები, ხელის გამმართავნი, რომლებთანაც რედაქცია შემდგომში დაამყარებს მჭიდრო, ურთიერთხელსაყრელ საქმიან ურთიერთობებს.

გთხოვთ მოგვწეროთ მისამართზე: თბილისი, 380096, მ. კოსტავას ქ. № 14. ტელ. 93-31-49, 93-31-48, 93-31-56.

**თქვენი უდიდესი მხარდაჭერა იქნება თუ 1992 წლისათვის გამოიწერთ „ახალგაზრდა ივერიელს“.**

ახალგაზრდა ივერიელი
Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისალები — 93-97-81;
პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.